# საქართველოს რესპუბლიკა



ⴈⴋⴈⴑⴇⴀⴌⴀ ⴜⴋⴈⴌⴃⴀ ⴑⴀⴕⴋⴄⴘⴈ, ⴐⴍⴂⴍⴐⴈⴚ ⴁⴄⴠⴃⴅⴓⴐⴈ ⴑⴈⴒⴗⴅⴀⴀ, ⴒⴗⴓⴈⴊⴄⴁⴈⴇ ⴃⴀ ⴠⴍⴐⴄⴁⴈⴇ ⴁⴓⴐⴇⴈⴑ ⴂⴀⴒⴀⴌⴀ ⴗⴅⴄⴊⴀ ⴓⴉⴀⴃⴐⴈⴑⴍⴁⴀⴆⴄ ⴓⴑⴀⴛⴀⴂⴊⴄⴑⴈⴀ.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 2 ოქტომბერი, 2013 წელი.

№188 (7315)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## სააკაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოსწორება შეუძლებელია

5





## მადლს მარილიც მოაყარეთ, კუპრის ნაცვლად, ბატონო ბიძინა!

3

## საკუთარ თავსა და ახლობლებს ხომ არ გააკონტროლებდნენ?



9

## სალომე ზურაბიშვილი: კოალიციას ლეგიტიმურობა აღარ აქვს

4

## ბიძინა ივანიშვილმა სამშობლოსთვის ხარჯები გაიღო

8

## [illegible]



6-7





## ვის აუკრძალავენ ქვეყნიდან გასვლას?

11

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

№188. ოთხშაბათი, 2 ოქტომბერი, 2013 წელი.

# მოსამართლეები წინა ხელისუფლების ვალდებულებებისგან გათავისუფლდებიან

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ფინანსთა მინისტრთან ერთად გუშინ იუსტიციის საბჭოს მდივანს ლევან მურუსიძეს შეხვდა. როგორც პრემიერის პრესსამსახურიდან იტყობინებიან, შეხვედრაზე გადაწყდა, რომ მოსამართლეებსა და იუსტიციის საბჭოს თანამშრომლებს ხელფასები გაეზრდებათ, უზრუნველყოფილი იქნება მოსამართლეების სოციალური გარანტიები და გაიზრდება იუსტიციის საბჭოს როლი სასამართლო რეფორმის განხორციელებაში.**

— ეს ახალგაზრდა ადამიანი, რომელიც არის დემოკრატიული გზით არჩეული, იკისრებს პასუხისმგებლობას სასამართლოს დამოუკიდებლობაზე. მას სურს, მოსამართლეს ჰქონდეს ნდობა და პრესტიჟი, სასამართლო კი იყოს დამოუკიდებელი. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ხელისუფლების წევრები ვერ გაბედავენ სასამართლოს მუშაობაში ჩარევას. ამაზე იქნება უმკაცრესი რეაგირება. თუმცა, აუცილებელია თითოეული მოსამართლე გათავისუფლდეს წინა ხელისუფლების ვალდებულებისგანაც. ეს ადამიანი არის ამის გარანტი, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა ლევან მურუსიძეზე.



◉ ინფორმაცია

# მარტო ეს არ კმარა, რომ ევროკავშირი შეწუხებულია

**ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია შეშფოთებას გამოთქვამს მავთულხლართების გაბმის გამო. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე სადამკვირვებლო მისიის ახალმა ხელმძღვანელმა საქართველოში ტოივო კლაარმა განაცხადა ე.წ. საზღვრის მოწყობის პროცესი ახალი არ არის, ის 2008 წელს დაიწყო, თუმცა ახლა ინტენსიური გახდა.**



როგორც ტოივო კლაარი აღნიშნავს, ევროკავშირის სადამკვივებლო მისია მიუკერძოებელ და ეფექტურ მუშაობას ახორციელებს ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ, მისია მხარს უჭერს თანამშრომლობას ადგილობრივ დონეზე და ნდობის აღდგენის საკითხზე მუშაობს.

— ჩვენ ყურადღებით ვაკვირდებით ე.წ. საზღვრის მოწყობის პროცესს, რომელიც ბოლო ხანებში გააქტიურდა. ამას აქვს გარკვეული უარყოფითი ზეგავლენა ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, — განაცხადა ტოივო კლაარიმ.

მისივე თქმით, მავთულხლართების გაბმის პროცესს ევროკავშირი ყურადღებით აკვირდება და ამის გამო შეწუხებულია.

— რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ქმნის დაძაბულობას, მაგრამ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში, ასევე ცხელი ხაზის გამოყენებით, ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ, რომ შევამსუბუქოთ ის ზეგავლენა, რომელიც ამ პროცესებს აქვთ ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრებაზე. მაქსიმალური გამჭვირვალობა, გადაადგილების თავისუფლება ხელს შეუწყობს სიტუაციის განმუხტვას, — განაცხადა ტოივო კლაარმა.

მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია იმისათვის არის, რომ დააკვირდეს მდგომარეობას, გადაწყვეტილებები კი პოლიტიკური სტრუქტურების მიერ უნდა იყოს მხარეებს შორის მიღებული.

◉ კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

● მინისტრებს და დეპუტატებს დიდი ხელფასი იმიტომ უნდა ჰქონდეთ, რომ ქრთამი არ აიღონ.

ე.ი. ქრთამს ვაძლევთ იმაში, რომ ქრთამი არ აიღონ?

არადა რომ კითხო, ერის სამსახურში სურთ დაფერფვლა, ჰოდა, 147 ლარად დაიფერფლონ (საარსებო მინიმუმი 145 ლარია. 2 ლარს ჩემი ჯიბიდან ვჩუქნი!

● ჯერ ჟურნალისტებს გვესროლეთ - დაიძახა ინგა გრიგოლიამ (ბოჟე მოი რა თავგანწირვაა :)

● თურმე ბიძინა რუსეთის კაცი არ ყოფილაო.

უგულავაც კი აღფთოვანდა, არ ყოფილა ბიძინა რუსული პროექტიო.

ახლა მაგი ოღონდ არ დაიჭირონ და „ბიძო — ბიძოს“ მყვირალთა კაპელასაც უდირიჟორებს. მოკლედ პოპულიზმი ის შავი ჭირია, რომელიც მოურჩენელი აღმოჩდა. ინგა გრიგოლიას ისტერიული ხმა ყოფილა პატრიოტიზმი, ერის ხსნა, საზღვრების გამაგრება და თუ მის გვერდზე არ გიჩხავლია, რუსეთუმე ყოფილხარ (მთავარია „გაუს“ დამძახებელი გამოგვიჩნდეს და „ჯოს“ მყვირალებს რა დაგვილევს).

● კოჰაბიტაციამ თხარა თხარაო, ნაცი გამოთხარაო.

● თუ ნაცმოძრაობა გარკვეული მიზნების მისაღწევად ცოცხის ტარს ხმარობდა, პარლამენტის ახალი კანონპროექტი, ცოცხების გამოყენებას მგონი გაშლილი მხრიდან აპირებს.



● თქვეჩემისგამოკოჰაბიტულებო ერთად იწერება?

● როგორ შეიძლებოდა, რომ თუნდაც იმდენი არ ვყოფილიყავით, რომ გზა გადაკეტილიყო, როცა ამდენი უსამართლობა ხდება?

სხვისი ჭირი ღობის ჩხირის სინდრომი და სიზარმაცე! აბა შიში აღარ არის და. მესმის თქვენი, თქვენი შვილების მკვლელები არ დაუწინაურებიათ და რატომ უნდა შეიწუხოთ თავი? ნუთუ არ იმსახურებდნენ, იური ვაზაგაშვილი, ჯამბულ გამცემლიძე, ია მეტრეველი და სხვა შვილმკვდარი მშობლები ჩვენს თანადგომას, თუნდაც თუ არ გვაქვს პროტესტის გრძნობა დღევანდელ სიტუაციაზე? ირინა ენუქიძის მიყურისძირებამ რაც მოგვიტანა, დაგავიწყდათ? შეიძლება 22—წლიანმა მუდმივმა მარაზმმა ჭკუა არ გვასწავლოს? ნიჭიერი კი არა, ყველაზე უნიჭო ერი ვართ.

● გიხაროდენ შვილმკვდარო დედებო, თქვენი შვილები ვიღაც მაძუნდარებმა კი არა — ნიჭიერებმა მოკლეს.

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძემ**

◉ ოქტომბრიდან ოქტომბრამდე

# „ჩვენ დავაყენეთ საქართველო ოცნებების ასრულების გზაზე“

**არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვების წლისთავს ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე აფასებს.**

— ეს იყო ემოციებით, იმედით, სიხარულით აღსავსე დღეები. ჩვენ ყველამ ერთმანეთის მხარდამხარ მივაღწიეთ მიზანს: დავძლიეთ შიში, გაუცხოება, უიმედობა. მე ჩემი ცხოვრების მანძილზე ბევრი გამარჯვება მინახავს, ბევრი ემოცია შემხებია, მაგრამ ის რაც მაშინ საქართველოში ხდებოდა, ის საოცარი ენერგია, რაც ყველა ადამიანისგან მოდიოდა იყო განსაკუთრებული და დრო ამას ვერასდროს გააუფერულებს! ეხლაც კი ვგრძნობ თითოეულ ხელის ჩამორთმევას, მხარზე შეხებას და გულში ჩაკვრას — ეს ყველაფერი არის ჩემთვის მუხტი, რომ ვემსახურო ჩემს ხალხს, გავამართლო თქვენი იმედები და ყველამ ერთად განვაგრძოთ ქვეყნის შენება! ჩვენ დავაყენეთ საქართველო განვითარების და წინსვლის გზაზე, ოცნებების ასრულების გზაზე! ხელისუფლებამ ავიღეთ უდიდესი პასუხისმგებლობა და ვალდებულება რომ გავამართლოთ ხალხის მოლოდინი, ღირსეულად გავიაროთ ეს გზა და ავაშენოთ ისეთი საქართველო, როგორიც არის თითოეული ჩვენგანის ოცნება,„ — აღნიშნულია გაცხადებაში.

**ინტერპრესი**

◉ ექო

# ჭეშმარიტებას დანატრებულ მამულიშვილთა შემოძახილი!

ჩვენი გაზეთის მკითხველთა ფართო სპექტრში რეზონანსი გამოიწვია ბატონ ოთარ ტურაბელიძის ჟურნალისტურმა გამოძიებამ სათაურით „კოჰაბიტაციით გათავხედებულ მერიაში მოკალათებულ ჩინოსანთა კორუფციული ვნებანი და არშემდგარი სასამართლო რეფორმა“.

საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები: ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები რეზო სტურუა, თორნიკე აფაქიძე, ჯუმბერ იოსებიძე, ანზორ აბშილავა, თამრიკო ბენდელიანი, ჯამბულ წულაია, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, ოლიმპიური ოქროს მფლობელი რომან რურუა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გურამ სალარაძე, მსოფლიო ჩემპიონი ფარიკაობაში იური ოსიპოვი, ლეგენდარული ჯემალ ცერცვაძე და საშა ჩივაძე, საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი გივი თოიძე, საქართველოს სახალხო არტისტები, რუსთაველის პრემიის ლაურეატები ნოდარ მგალობლიშვილი და დემეტრე ჯაიანი, ალექსანდრე ხომერიკი, საქართველოს დამსახურებული არტისტი ავთო მიქაძე, ღირსეული მოღვაწენი თენგიზ კალანდაძე, შალვა მგალობლიშვილი, თეიმურაზ სუბათაშვილი, დათო არველაძე, ჯიმი ბროძელი, ანტონ თორდია, გეგუ მუშკუდიანი და სხვები გვირეკავენ რედაქციაში და გულისწყრომას გამოხატავენ, როგორც ტ. ტაბიძის ქ. №124-ში 7-სართულიანი კორპუსის მშენებლობის მიმართ, ასევე თბილისში მძვინვარე აწოწილ-უსახური შენობა-ნაგებობათა მომრავლების გამო და მოითხოვენ ხმა მივაწვდინოთ სადაც ჯერ არს, რათა ერთხელ და სამუდამოდ აღიკვეთოს დედაქალაქის „გადაგვარება“, მისი სტატუსის შეცვლის მოსურნე მოძალადე ჩინოსანთა თავგასულობა.

მამულიშვილნო, ვსდგეთ მტკიცედ და შეურყეველად, რათა შთამომავლობას შევუნარჩუნოთ თბილისი, ბაჯაღლო ბეჭედში ჩასმული ბადახში“!!!

**მამუკა ვაშაკიძე**

◉ ინტერნეტიდან

**ომშიც მიცხოვრია, ტერორშიც, ჭაობშიც, ავტორიტარიზმშიც, ოღონდ, ასეთ მშვიდობიან ქაოსში ჯერ არ მიცხოვრია, — ასეთი სტატუსი დადო ია ანთაძემ ფეისბუქში. და აი, კომენტარებიც:**

„მშვიდობიანი ქაოსი.ამასაც მოვესწარით“!

„ეს ალბათ დემოკრატიის საწყისი ეტაპია, თუმცა ჩვენს ასაკში ძნელია, ამიტომაც სისტემა კი არ უნდა დაინგრეს, სისტემა უნდა აღდგეს, ვიღაცის სამზარეულოში კი არ უნდა ტარდებოდეს მთავრობის სხდომები“...

„ნეტა მშვიდობა როგორია ქაოსის გარეშე“?

„მშვიდობის გეშინოდეთო“...

„თქვენ მართლა ფიქრობთ, რომ საქართველოში მშვიდობაა? ქაოსი არ შეიძლება იყოს მშვიდობიანი“...

# „ამას ეწოდება „კოჰაბიტაციური ქაოსი“...



„ეს ქაოსი სიმკაცრის ნაკლებობისა და ზედმეტი თავისუფლების გამოა“!

„იქნებ ეს ქაოსი მართვადია“?

„ყველა იმას ლაპარაკობს, რაც უნდა, ყველა იმას აკეთებს, რაც უნდა, რომ აკეთოს, თან ტყვიებს ერთმანეთს არ ვესვრით, ესე იგი, მშვიდობიანი ქაოსია... თუ დიდხანს გაგრძელდა ასე, ან ვისწავლით, რა არის დემოკრატია, ან მართლა ომის ქაოსში გადავვარდებით, აი მერე უკვე, ძნელი იქნება ჩვენი შველა“..

„აბაა, ნაღდი შეფასებაა. თითქოს მშვიდობაა და მავთულხლართებს აბამენ. თითქოს მოძრაობაა, და ეკონომიკური სტაგნაციააო, თვითონ ამბობენ. მეც ვერაფერი გავიგე. აქ არი და ვერ დაალაგა და იქიდან როგორ დაალაგებს, მაგრამ ძალით ხომ ვერ გავაჩერებთ. პაჟივიომ, უვიდიმ“...

„ასე იქნება ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებამდე, რის მერეც მოვა ხეზბოლა, ჩვენ ვიქნებით ლიბანი, რუსეთი კი სირია“.

„ცოტა ქაოსს არა უშავს, „მასკიანი“ სპეცნაზელები რომ დარბოდნენ, უფრო ვლიზიანდებოდი“.

„ესეც ხომ მოსასინჯი იყო“...

„ეჰ, ქალბატონო ია, ახალი, თანამედროვე დემოკრატიაა“...

„ქაოსიცაა და ქაოსიც, ასეთი მშვიდობიანი და ქაოსური ავტორიტარიზმი, ტერორი და ჭაობი გაგონილა“?

„ქაოსი არ ნიშნავს უწესრიგობას“...

„ ქ-ნო ია, ქაოსი რა არის, ის გვითხარით. მე-3 დღეა ყველანი თავის გადარჩენას ცდილობთ. ივანიშვილი არჩევნებამდე ყველა რაიონში თითო საწარმოს გახსნას დაგვპირდა, მერე ასამდე გაზარდა, ბოლოს 205-მდე ავიდა და ერთი ჟურნალისტი თუ ექსპერტი არ აღმოჩნდა, რომ ეთქვა , აბა გვაჩვენეთ, ან პროექტი, ან საძირკველი, ან საერთოდ რაიმე გეგმა. რატომ იცით? გეშინიათ, მართალი არ აღმოჩნდეს ბიძინა“.

„მთავარია, რა იქნება ამ მშვიდობიანი ქაოსის შემდეგ, ქაოსი ხომ დიდხანს ვერ გაგრძელდება“...

„ან ინსტიტუციები გაძლიერდება და დემოკრატია იქნება, ან პიროვნებები გაძლიერდებიან და ავტოკრატია იქნება“.

„ამას ეწოდება „კოჰაბიტაციური ქაოსი“...

„გაურკვეველი ქაოსია“.

„როგორც მონათლეს აღვირახსნილი ლიბერალიზმი“...

„მართლაც ზუსტი დიაგნოზია“.

„ტყვიას ტყვიაში აჯენთ, ქალბატონო ია, როგორც იტყვიან და როგორც წესია, მაგრამ უნდა დაასაბუთოთ, ეგრე არაა ძმაო,საზოგადოება იძაბება...

ზედმეტი თავისუფლება რა არის? ხმამაღლა ლაპარაკის უფლება რომ გვაქვს?

იქ სადაც შალვა რამიშვილი, კოკა ყანდიაშვილი, მელორ ვაჩნაძე, გაბედავა, ცაგურია და ა.შ. მსგავსი ძმარგალიტები ძ აქტიურობენ, კარგი არაფერია მოსალოდნელი. დიდი- დიდი 2 ან 3 წელი გაქაჩოს ამ საქაჯეთმა , არაკომპეტენტურობა თვითონ ხალხს ამოუვა ყელში და როგორც მოიყვანეს, ისე გაუძახებენ პოლიტიკური არენიდან. თურმე, ნუ იტყვით, და ამ „ავადხსენებული“ 9 წლის მანძილზე ხალხი მიჩვეულა ცივილიზებულ სტანდარტებს და ველარ ეგუება ამაზე დაბალ დონეს, თან გაცილებით დაბალს“.

„მიხარია გამოფხიზლება. ვიცოდი, რომ ქართველები ამ ჩლუნგების მმართველობას დიდხანს ვერ აიტანდნენ, ჩვენც რომ ჩლუნგები ვგონივართ, მართალია, გაგვაცურეს, და საბაბი მივეცით, რომ ჩლუნგებად ჩაგვთვალონ, მაგრამ ძალიან ცდებიან. 1 ოქტომბერს წამოტივტივებული არარაობები - ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შევლენ“!

„ქაოსიდან იშვა სამყარო“ ...

„ქაოსიდან კი იშვა სამყარო, მაგრამ მას მილიარდობით წლები დასჭირდა“.

„მე უძრაობის ხანა უფრო მგონია“...

„მშვიდობიანი ქაოსი, დიდებულია, სულ ვფიქრობდი. როგორ შემეფასებინა ეს მდგომარეობა, ან რა დამერქმია. გმადლობთ ქალბატონო ია“.

**ნატა ნიბლაძე**

№188. ოთხშაბათი, 2 ოქტომბერი, 2013 წელი.

# მადლს მარილიც მოაყარეთ, კუპრის ნაცვლად, ბატონო ბიძინა!



## პრემიერ-მინისტრის ექსპერტებთან შეხვედრის (25.09.2013) შემდეგ გაჩენილი კითხვები და მათზე არაექსპერტის მიერ გაცემული პასუხები

**– რა იყო პრემიერის ექსპერტებთან შეხვედრის მიზანი?**

– ეს არ იყო ჩვეულებრივი საქმიანი შეხვედრა. შეხვედრის დასაწყისშივე გამოჩნდა (პრემიერმა თავიდანვე დაგვანახვა ფურცლების დასტა – თითქმის ყველა ექსპერტზე პრესიდან ამოკრეფილი „კომპრომატებით“), რომ იგი მიზნად ისახავდა ექსპერტების – იქ მყოფთა დიდი ნაწილის და, აგრეთვე, არმყოფი სოსო ცისკარიშვილის საჯაროდ გაკიცხვას, ჟარგონით – „ტრუბაში გაძვრენას“, მათ მიერ „ქართული ოცნების“ და პრემიერის მისამართით გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებებისა გამო, და ამ ფონზე, პარალელურად, ტელემაყურებლის დარწმუნებას იმაში, რომ სახელმწიფოში ყველაფერი სწორი გზით მიდის, რომ დაპირებები გადაჭარბებით სრულდება, რომ სამართალი აღდგენილია და, აქედან გამომდინარე, მასაც სრული მორალური უფლება აქვს, დამშვიდებულად გადაინაცვლოს პრემიერის სავარძლიდან არასამთავრობო, თუ სადღაც საზოგადოებრივ სექტორში (სახელებს მნიშვნელობა არა აქვს!), საიდანაც იგი, მისი აზრით, უფრო ეფექტიანად დაეხმარება მის მიერ დატოვებულ ხელისუფლებას სახელმწიფოს მართვაში.

**– რას მიაღწია პრემიერმა?**

– სამწუხაროდ, ძალიან ცუდ შედეგს თავისთვის. როცა ღია ეთერში ამ ფორმით და ტონით ელაპარაკები 12 დამოუკიდებელ ექსპერტს, მათი აზრის მოსმენის ნაცვლად თითქმის არავის აცლი სიტყვის დასრულებას, არავის არაფერში არ ეთანხმები და ყველაფერზე „არა, არათი“ პასუხობ, ეს ნიშნავს, რომ პრემიერს არ სურს, „გაგებით მოეკიდოს“ ქვეყანაში არსებულ სამართლებრივ და პოლიტიკურ რეალობას. რაც შეეხება ტელემაყურებელს, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენილი ჰქონდა იმედი სამართლის დამკვიდრებისა ქვეყანაში, ანუ დამნაშავეების დასჯის და წართმეული ქონების დაბრუნებისა, მას ყველა იმედი გადაეწურა. ძალიან ძნელი იყო იმ ყველაფრის მოსმენა, რასაც ასე წარბშეუხრელად და წარუმატებლად უმტკიცებდა ბ-ნი ბიძინა ექსპერტებს და თავის ამომრჩეველს.

**– კონკრეტულად რამ მიიქცია ყურადღება ამ შეხვედრაზე?**

– ექსპერტების გამონათქვამებიდან, შეიძლება ითქვას, არაფერმა. მათი შეხედულება აღდგენილ „სამართალზე“ და ყბადაღებულ „კოჰაბიტაციაზე“ ცნობილი იყო. ყურადღება მიიქცია და აქამდე არგანცდილი იმედგაცრუება გამოიწვია პრემიერის აშკარად მოუზომავმა შეფასებებმა (პიროვნების და მოვლენების).

თურმე, რა კადრი დაგვიკარგავს ადეიშვილის სახით, რომელიც „ყველაზე საინტერესო და ნიჭიერი კაცი“ ყოფილა წინა ხელისუფლებაში, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამნაშავეო, აი, ეს კი, აღარ დაუმატებია ბ-ნ ბიძინას. პირიქით, იგი შეეცადა გაქცეული მინისტრის მისაღები პორტრეტის დახატვას ციხეში მჯდომი, იმავე რანგის დამნაშავე კაცის სიტყვების მოშველიებით: „რამდენი თვეა უკვე მინისტრად მუშაობს და ნახე როგორ სახლში ცხოვრობს, ტელეფონიც კი არა აქვს ხეირიანიო“, უთქვამს მისთვის „გაღლეტილ“ მერაბიშვილს ცხრა წლის წინათ! ჩემი და, ალბათ, ბევრის აზრითაც ყოვლად გაუმართლებელია ამგვარად ილაპარაკო იმ ადამიანზე, რომლის კაბინეტშიც მიიღებოდა ათასობით ადამიანის ქონების დასაკუთრების, „ჩუქებების“ და ურჩი მეპატრონეების დაპატიმრების გადაწყვეტილებები! ეს კაცი მართლაც რომ ანგელოზი ყოფილიყოს „ვარდების რევოლუციის“ გარიჟრაჟზე, ამ ხნის მანძილზე ძალაუფლება ვერ გარყვნიდა მას და ბევრ სხვასაც, თუ რა?! დაბადებიდან ყველანი უცოდველნი ვართ! მისი, როგორც კრიმინალის, განსასჯელის სკამზე დასმით უნდა ვიყოთ დამეცადინებული, თუ მისი წარსულით გულის აჩუყებით?! უკაცრავად, სულ დამავიწყდა, ის უბედური ადეიშვილი (მერაბიშვილი და ახალაიაც, ცხადია!), თურმე, დამნაშავე კი არ ყოფილა, არამედ – მხოლოდ მსხვერპლი: „ამ იდეოლოგიამ და ერთი კაცის გაუაზრებელმა გადაწყვეტილებებმა აქცია ძალიან ბევრი იმად“, რასაც საბოლოო ჯამში მათი კრიმინალებად ჩამოყალიბება მოჰყვა, განგვიცხადა პრემიერმა. კი ბატონო, გეთანხმებით, მაგრამ, როცა არც ამ გამრყვნელ კაცს სჯი, არც მის მიერ გარყვნილს აკარებ თითს და არც „იდეოლოგიას“, ანუ სისტემას(!) ასამართლებ, მაშინ რომელი სამართლის აღდგენაზე ვლაპარაკობთ?!

თურმე, არც ის მოსამართლეები იმსახურებენ დასჯას, და ისინიც მსხვერპლნი ყოფილან, რომლებიც ახალაიაკალმახელიძე-შაშკინის ჯოჯოხეთში აგზავნიდნენ ათასობით უდანაშაულო ადამიანს. თურმე, ამ მოსამართლეებს (და სხვა დამნაშავეებსაც) გამოსწორების მიზნით(!) „გახმი-გახმი“ კი არ უნდა ვუძახოთ, არამედ – „აყვავდი-აყვავდი“! დამნაშავე ადამიანს თავზე ხელი თუ გადაუსვი, იმავე თანამდებობაზე დატოვე ან დააწინაურე კიდეც, ანუ წყალი დაუსხი ძირში და თან „აყვავდი–აყვავდი“ ვუძახეთ, როგორც ამას ბ–ნი ბიძინა გვირჩევს, ის ისე გაიფურჩქნება, ძველი ცოდვები მონაგონი იქნება, გააჩნია როდის მოვა სათავეში „ნაცების“ სახელცვლილი ვარიანტი.

ერთი ექსპერტი შეეპასუხა ბ-ნ ბიძინას – გამხმარ ხეს რამდენიც გინდა უძახე: „აყვავდი-აყვავდი“, მაინც არაფერი ეშველებაო. პირდაპირი გაგებით ეს მართლაც ასეა, მაგრამ, ვინა თქვა, რომ ნაცმოძრაობის ხე (ხეები) გახმა ან ხმება. ხმება კი არა ვარდივით არიან გაფურჩქვნილნი „ქართული ოცნების“ წყალობით ყველა დონეზე, ამ „ხეებითაა“ გაძეძგილი სასამართლოები, პროკურატურა, ადგილობრივი თვითმმართველობა, პოლიცია, დედაქალაქის მერია და პარლამენტიც.

ადრე კოტე კუბლაშვილის ქება ვისმინეთ ბ-ნ ბიძინასგან, უფრო ადრე – მერაბიშვილის, ახლა – ადეიშვილის, ამერიკიდან დაბრუნებული დეზერტირი თავდაცვის(!) მინისტრი შაშკინი ლამის გულში ჩავიკარით გზააბნეული შვილივით და მისი პასუხისგებაში მიცემა აზრადაც არ მოსდის არავის, პარლამენტში კიდევ ხომ მთლად ჩახუტობანას თამაშია გაჩაღებული; მოკლედ, ისეთი პირი უჩანს, მგონი სააკაშვილსაც ჩაგვახუტონ ყველანი მალე და ყველაფერი ჩვენს ამომგდებ პუტინს დააბრალონ!

**– პრემიერის გადადგომაზე რა აზრის ვართ?**

– ჯერ ერთი, მომეჩვენა, რომ თავადაც არ იცის გარკვევით, თუ **სად მიდის, რა შვიდკაციანი ორგანიზაციის დაფინანსებას აპირებს, კონკრეტულად რას გააკეთებს და როგორ მოახდენს ხელისუფლებაზე განსაკუთრებულ, სხვებისგან გამორჩეულ ზეგავლენას**; მეორეც, არჩევნებამდე გვპირდებოდა სამართლის აღდგენას – წლები და ფინანსები ეკონომიკის ფეხზე დაყენებას სჭირდება, თორემ სამართლისთვის მხოლოდ კეთილი ნებაა საკმარისი და მას მოსვლისთანავე აღვადგენო, თანაც ისეთი დემოკრატიის დამყარებას გვპირდებოდა, ევროპასაც გავაკვირვებო! ჩვენი სამართალდემოკრატიით ჯერ არავინ გაკვირვებულა, მაგრამ, აი, პრემიერობიდან გადადგომით კი (წლისთავზე!), არა მარტო ევროპა დარჩება გაკვირვებული. საქმე ის არის, რომ უფლებებით მაქსიმალურად აღჭურვილი პრემიერის ან პრეზიდენტის ნებაყოფლობითი გადადგომის მაგალითი მსოფლიო ისტორიამ არ იცის, არც განვითარებად და არც განვითარებულ ქვეყნებში ამის მსგავსიც კი არ მოსვლია თავში არავის! ბუნებრივია, ისმის კითხვა: ეს უპრეცედენტო ნაბიჯი ექსპერიმენტია? მე თქვენ გეტყვით და, გაიკვირვებს ვინმე: 10 წელია, მეტიც, სულ ექსპერიმენტული ბაჭიების როლში არა ვართ?! იქნებ ვაზვიადებ, იქნებ აპრობირებულიც კია ეს მეთოდი სადმე და ჩვენ, უბრალოდ, არ ვიცით ამის შესახებ. ამ მხრივ, ძალიან საინტერესოა, ვიცოდეთ პრემიერის აზრი – როგორ ჰგონია მას, **ნუთუ შესაძლებელია, თუნდაც თეორიულად, სახელმწიფოს უკეთესად მიხედვა გარედან, ვიდრე შიგნიდან, როცა ხელისუფლების ყველა სადავე გიპყრია ხელთ და ძალოვანი სტრუქტურებიც გემორჩილებიან?!**

და ერთი კითხვაც: **დავუშვათ და, ყურად არ იღო დატოვებულმა მთავრობამ (ან გადახალისებულმა) მოქალაქე ივანიშვილის** (და – არც სხვების, როგორც იყო აქამდე) **რჩევა-დარიგება, მაშინ რას აპირებს, როგორ აიძულებს იგი ხელისუფლებას, შეისმინოს ხალხის მოთხოვნები?** მაგალითად, დღეს ერთობ აქტუალური – ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნა?

**– ქონების დაბრუნებაზე (მანქანებისაც კი!) ლამის ცივი უარი რომ გვტკიცა პრემიერმა, ამაზე რა კონტრარგუმენტი გვაქვს?**

– ამ საკითხზეც ერთობ ორიგინალური მოსაზრება ჰქონდა ბ-ნ ბიძინას, ისეთი, უკეთესს რომ ვერ ინატრებს ქონებაწართმეული ადამიანი. პირდაპირ და ორი სიტყვით თუ ვიტყვი, იგი ასეთი იყო: **„ესაო, ისაო, მაგრამ არაო“!** თურმე 40 ათასს(!) აღწევს ქონებაწართმეულთა რაოდენობა, აქედან 9 700 ადამიანს „გაუჩუქებია“ თავისი ქონება (ზოგს დილის ოთხ საათზე და ზოგსაც – ციხის საკნიდან!). ამ 9 700-დან 80 %-ს სახელმწიფოსთვის „უჩუქებია“. ამიტომ, წესით ბიუჯეტიდან უნდა მოხდეს დაზარალებულების დაკმაყოფილება, მაგრამ ამის საშუალება სახელმწიფოს არა აქვს, წართმეულ-„ნაჩუქარი“ ქონების საერთო თანხა ძალზედ დიდია, 6-7 მილიარდი(!) ლარიო. ისიც დააყოლა, წინა ხელისუფლება წართმეულ ქონებას ნაწილობრივ სახელმწიფოს ახმარდა და ნაწილიც სხვა პროცესებში(?!) მიდიოდაო, როგორ ახმარდა სახელმწიფოს ესეც საკითხავიაო! აგაშენა ღმერთმა, იკითხე მერე, დაგიშალა ვინმემ? ეს ხომ პრემიერის პირდაპირი მოვალეობაა! რა უნდა იმის დადგენას, თუ სად წავიდა და ვის საკუთრებაში აღმოჩნდა წართმეული ქონება ისეთ პატარა სახელმწიფოში, სადაც თითქმის ყველანი ერთმანეთს იცნობს. არც არაფერი, მხოლოდ კეთილი ნება. ხელისუფლებაში ცალ-ცალი კალოშით მოსულების და მოკლე დროში მათი მილიონერებად გარდაქმნის ფოკუსების გახსნა გამოძიებისთვის, როგორც რუსები იტყვიან, „ერთი გადაფურთხებაა“ – Раз плюнуть! (გადასაფურთხებელ ხალხს სწორედ ეს გამოთქმა მოუხდება!). მაგრამ ამ შეხვედრის შემდეგ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ეს ნამდვილად არ მოხდება ამ ხელისუფლების პირობებში – „ნაცების“ დროინდელი გამომძიებლები, პროკურორები და მოსამართლეები, რომლებიც „ქართულმა ოცნებამ“ უპრობლემოდ დატოვა მართლმსაჯულების აღმსრულებლებად, ისე არიან ერთმანეთთან გადაჯაჭვულნი კრიმინალური წარსულით, რომ სამართლის აღდგენის ახალი იმედი მხოლოდ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ თუ გაჩნდება. მართალია, 100%-იანი გარანტია არაფრის არ გვაქვს და იმედებიც უამრავჯერ გაგვიცრუვდა, მაგრამ ჩვენ ცდა არ უნდა დავაკლოთ.

კინაღამ გამომრჩა ის, რაც ბ-ნ ბიძინასაც გამორჩა. 9 700-დან ხომ დარჩა 20 %, ანუ დაახლოებით 2 000 კაცი ისეთი, ვისი ქონებაც არა სახელმწიფოზე, არამედ კერძო პირებზე „გაჩუქდა“, იმათთვის რატომ არ მოხერხდა აქამდე ქონების დაბრუნება, ეს ხომ ბიუჯეტს არაფრით არ დააწვებოდა?! გამოძიება მიმდინარეობსო, გვამშვიდებს ბ-ნი ბიძინა. კი მაგრამ, შე მართლა კაი კაცო, **2 000 კაციდან 11 თვეში 200 კაცისთვის მაინც არ უნდა ეჭამა სამართალს პური?! არც 20 კაცისთვის?!**

კითხვას უშუალოდ არ ეხება, მაგრამ არც **დაპირებული 100 საწარმოდან რამდენიმე მცირე გადამამუშავებელი ქარხნის ყიდვაც არ მოესწრო ერთ წელიწადში?!** არჩევნების შემდეგ როგორ დაიჯერებდა ვინმე, რომ წელსაც მიწაზე დაყრილ ატამს და ვაშლს ვიხილავდით, რომ ხილის არც გატანა მოხერხდებოდა რუსეთში და არც – გადამუშავება!

**– პრემიერი დიდ ზეწოლას განიცდის ამერიკის მხრიდან, ეს მან თავადაც აღიარა, დასავლეთი ვერ იგებს (ან არ იგებს) ხალხის მოთხოვნებს და დამნაშავეების გასამართლების ნაცვლად მათთან კოჰაბიტაციას მოითხოვს ახალი ხელისუფლებისგან. რა ქნას პრემიერმა?**

– როდესაც პოლიტიკაში მოდიხარ მხოლოდ იმ მიზნით, რომ შენი დაბეჩავებული ერი ფეხზე წამოაყენო, ღირსება დაუბრუნო და დააპურო კიდეც, და ამისთვის შენს საკუთარ მილიარდებსაც მას ახარჯავ და უნაწილებ (განსხვავებით იმათგან, ვინც ფულის საკეთებლად იბრძვის სავარძლებისთვის) და, როდესაც შენი, მართალი კაცის დაპირებებით დიდ იმედებს ჩაუსახავ მშობელ ხალხს, ყველა ღონე უნდა იხმარო და ციხეში თუ არ ჩაყრი დამნაშავეებს, სულ ცოტა, დაკავებული თანამდებობებიდან უნდა გაათავისუფლო, და იმდენი მაინც მოახერხო, რომ დაზარალებულებს ქონება დაუბრუნო, არა ბიუჯეტიდან, არამედ – წამგლეჯებისგან, და ეს სრულებით არ არის ისე ძნელი, როგორც ამას პრემიერი გვიხატავს!

ზეწოლა, უდავოდ დიდია, ასე რომ იქნებოდა ყველამ იცოდა – საფრთხე შეიძლება დამუქრებოდა როგორც თავად პრემიერს და მის ოჯახს, ისე მის მილიარდებსაც, რასაც, მგონი, უკვე დაეტყო კიდეც „ზეწოლა“ – პოლიტიკაში შემოსვლის წელს (2012) ბ-ნი ბიძინას ქონება 900 მილიონით გაიზარდა, იმის წინა წელს – 700 მილიონით, 2013-ში კი, მატების ნაცვლად, 1.1 მილიარდით(!) შემცირდა და „ფორბსის“ მონაცემებით ამჟამად 5.3 მილიარდამდე დავიდა. ჭეშმარიტი მიზეზები ასეთი კოლოსალური შემცირებისა (მოგების გათვალისწინებით, ორი მილიარდი გამოდის!) ფართო საზოგადოებისთვის, მათ შორის, ჩემთვისაც უცნობია, ამიტომ შორსმიმავალი დასკვნებისგან თავს ვიკავებ, თუმცა, რაღაც ეჭვებს, რაღა თქმა უნდა, ბადებს.

კითხვები ბევრია კიდევ, მაგრამ აქ შევჩერდები და საქართველოს პრემიერს პირდაპირ მივმართავ. არც წერილი და არც ამონარიდები მის მაგიდაზე რომ არ მოხვდება, დარწმუნებული ვარ, მაგრამ, ვფიქრობ, საერთო საქმისთვის ასე აჯობებს.

**ბატონო ბიძინა, საფრთხეები მუდამ თან სდევს სახელმწიფოს მეთაურს, ამაში ახალი არაფერია, თავი გადადებული ჰქონდა თქვენს გვერდით მდგომ თითოეულ ამომრჩეველსაც, საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს. ხალხის ასეთი სიყვარულის და მხარდაჭერის მქონე ერის წინამძღოლი შუა გზაზე არ ატოვებს თავის ხალხს; თქვენი პოლიტიკაში შემოსვლა ნამდვილად ვაჟკაცური ნაბიჯი იყო და პოლიტიკიდან წასვლაც ვაჟკაცური უნდა იყოს, ბრძოლის ველიდან გაქცევას არ უნდა ჰგავდეს. თქვენი განცხადებების მიუხედავად, სამწუხაროდ, ასე ჩანს, როგორც ექსპერტების, ისე ხალხის თვალშიც, რამდენმა პროცენტმაც მხარი დაგიჭირათ არჩევნებში, იმდენივე პროცენტი უარყოფითად აფასებს თქვენს გადაწყვეტილებას გადადგომის თაობაზე.**

ბატონო ბიძინა, უამრავი მადლი გაქვთ „დადებული ქვაზე“, ახლაც უდიდესი მადლი ჰქენით ხალხის გაერთიანებით და არჩევნებში გამარჯვებით, მაგრამ ერთ კასრ თაფლში ერთი კოვზი კუპრის გარევასავით არ გამოვიდეს თქვენი გადადგომა; ნუ იზამთ ამას, მადლს, ზედ მარილიც მოაყარეთ, კუპრის ნაცვლად!

**იაკობ ლეჟავა,**
**26 სექტემბერი, 2013**

**„მოდის ძალიან დიდი დაბნეულობის პროცესი. ამისთვის უნდა იყოს საქართველო და ქართველი ხალხი მზად" – ასეთია სალომე ზურაბიშვილის სამომავლო პროგნოზი. „საქართველოს გზის" ლიდერი, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებში თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა, პოლიტიკური სამკუთხედის არსებობაზეც საუბრობს და აცხადებს, რომ ბურჯანაძე, ბაქრაძე და მარგველაშვილი ერთი ძალის სამი სხვადასხვა კანდიდატია. For.ge სალომე ზურაბიშვილს ესაუბრა.**



# სალომე ზურაბიშვილი:

# კოალიციას ლეგიტიმურობა აღარ აქვს

**— როგორია წინასაარჩევნო გარემო და რას უნდა ველოდოთ საპრეზიდენტო არჩევნებისგან?**

— რეალურად, არჩევნები არ ტარდება. არჩევანი არის ძალიან შეზღუდული. გარემოზე საუბარი ნაკლებადაა საინტერესო. ამ არჩევნებში გაყალბებას არ უნდა ველოდოთ, მაგრამ ფაქტია ის, რომ არჩევნები საზოგადოების დიდი ნაწილისათვის აზრის გამოხატვის უფლების წართმევით დაიწყო. საზოგადოებას უტოვებენ არჩევანს, რომელიც პრაქტიკულად მიუღებელია — ერთი გზა „ნაციონალურ მოძრაობის" პერიოდში დაბრუნებაა, რაც არავის არ უნდა, მეორე კი არის პრორუსული ძალა, რომელიც საზოგადოების დიდი ნაწილისათვის მიუღებელია. მესამე დანიშნული პრეზიდენტია.

**— თქვენი გამოთიშვა საარჩევნო პროცესებიდან, გარკვეულწილად, ნიშნავდა თუ არა არჩევნების გაყალბებას?**

— ეს არის არჩევნებისა და არჩევანის გაუქმება, მაგრამ არა იმ სტილითა და იმ ფორმით რომელიც ჩვენ ადრე ვიცოდით. ეს არის პოლიტიკური ჩარევა და უსამართლო გადაწყვეტილება.

**— საკმაოდ ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ „ნაციონალურ მოძრაობასა" და „ქართულ ოცნებას" შორის გარკვეული შეთანხმება შედგა, თუნდაც იგივე კოჰაბიტაციის სახით. ასევე საუბრობენ შეთანხმებაზე ბურჯანაძესა და „ოცნებას" შორისაც. როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ეს პოლიტიკური სამკუთხედი?**

— ამის გარკვეული ნიშნები ჩნდება. თავდაპირველად მოვაშოროთ ამ ყველაფერს სიტყვა კოჰაბიტაცია, ეს არ არის კოჰაბიტაცია. ჩვენ ვლაპარაკობთ გარიგებაზე. საზოგადოებას აწუხებს ის, რომ მათი გარიგებები არის ფარული. ხალხი ითხოვს სასამართლოს და ცდილობს იმის გარკვევას თუ რა და როგორ ხდებოდა წინა ხელისუფლების დროს. მაგალითად ციხეში წამების ფაქტები, ბიზნესების წართმევა, თუნდაც არჩევნების გაყალბება, ერთი სამაგალითო სასამართლოც კი არ გამართულა, არავინ არ დასჯილა. ძალიან საინტერესო იქნებოდა იმის გამოძიება რა ხდებოდა არჩევნებზე. უამრავი ფაქტი არსებობს და მე მგონი „რესპუბლიკურ პარტიას" უნდა ჰქონდეს შენახული დამადასტურებელი დოკუმენტები თუ როგორ აყალბებდა წინა ხელისუფლება არჩევნებს. ძალიან საინტერესო იქნებოდა ეს ყველაფერი თუნდაც საპრეზიდენტო არჩევნებამდე. ესეც არ მოხდა. არც ერთი ეკონომიკური საქმე არ გახსნილა, რომ ადამიანებს დაბრუნებოდათ ხელისუფლების მიერ წართმეული თანხები, გარდა ერთი — ბიძინა ივანიშვილის საქმისა. ამ ყველაფრის მერე როდესაც ისმის საკმაოდ დადებითი შეფასებები ადეიშვილის მიმართ ქმნის განცდას საზოგადოებაში, რომ ამ თამაშს იქით ხდება რაღაც, რაც არაა იმ დაპირებების შესატყვისი, რომელსაც „ოცნება" იძლეოდა და რის გამოც ის ჩვენ, ყველამ ავირჩიეთ.

მეორე მხრივ, ის ხელოვნური დისტანცია, რომელიც შეიქმნა დასაწყისში, როდესაც ბიძინა ივანიშვილი იძახდა: მიუღებელია ბურჯანაძე ჩემთვის და მელაპარაკეთ ზურაბიშვილზე. თვითონ შექმნა დისტანცია და ბურჯანაძის პარტიის გარდა ყველა პარტია მისაღები იყო კოალიციისთვის. რატომ იყო ის მიუღებელი მისთვის, როდესაც საკმაოდ ბევრი ადამიანი თვითონ კოალიციაში დაკავშირებულია ბურჯანაძესთან. თუნდაც მარგველაშვილი, ხადური და ა.შ. გაუგებარია ეს ყველაფერი და ხალხში ჩნდება განცდა, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ საჩვენებლადაა, რეალურად კი სხვა კავშირები არსებობს. ივანიშვილის გადადგმული, ფაქტობრივად, ყველა ნაბიჯი აძლიერებს ბურჯანაძის კანდიდატურას. როდესაც ივანიშვილი ლაპარაკობს წასვლაზე, ამით ასუსტებს მარგველაშვილს, აქებს ადეიშვილს. ეს ზრდის ადამიანების ბირთვს, რომლებიც უკმაყოფილოები არიან დღევანდელი ხელისუფლებით და სწორედ ამ უკმაყოფილების გამო აძლევენ ხმას ბურჯანაძეს. ორივე ძალასთან იკვეთება გარიგებების ნიშნები. დიდ სხვაობას მე ამ სამ ძალას შორის ვერ ვხედავ. მეგონა, რომ ივანიშვილს დემოკრატიისადმი უკეთესი მიდგომა ჰქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, რასაც ბოლო პერიოდში ვხედავ, ის ბევრად ემსგავსება წინა რეჟიმს. ბუნდოვანი სიტუაცია შეიქმნა, რაც ხალხისთვის იკითხება ასე — „ერთი ძალა სამი კანდიდატით".

**— რა მოხდება იმ შემთხვევაში თუკი ბურჯანაძე გაიმარჯვებს?**

— არ გაიმარჯვებს ბურჯანაძე.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ეს არ არის სცენარი, რომელიც დაწერილია.

**— როგორი სცენარია დაწერილი, თქვენი აზრით?**

— მარგველაშვილი გაიმარჯვებს პატარა პროცენტით, რაც „ქართულ ოცნებას" იმის თქმის საშუალებას მისცემს, რომ ყველაზე ღია და დემოკრატიული არჩევნები ჩაატარეს. ალბათ გაიმარჯვებს პირველი ტურით, არა მგონია, მეორე ტური შედგეს. არ ვარ დარწმუნებული ვინ იქნება მეორე და ვინ — მესამე. ნაციონალების დაბრუნების შიში არსებობს. ვფიქრობ, პროცენტულად დიდი განსხვავება არ იქნება ბაქრაძესა და ბურჯანაძეს შორის. ბურჯანაძის მიზანი არის თავისი პარტიის გაძლიერება ადგილობრივი და საპარლამენტო არჩევნებისთვის. ბურჯანაძეს მხოლოდ ფიქტიური პოსტი არ უნდა, მას ძალაუფლება უნდა. ასე, რომ ის სამომავლოდ პრემიერობისა და პარლამენტში საკუთარი ადგილის დამკვიდრებისათვის იბრძოლებს. მას უფრო მეტი შანსი აქვს რეგიონებში ადგილობრივ არჩევნებზე. მარგველაშვილი კი როგორც პრეზიდენტი, ბურჯანაძეს არაფერში არ შეუშლის ხელს. თქვენ ალბათ გახსოვთ, ის მისი ყოფილი მრჩეველი იყო.

**— 2005 წელს თქვენ იყავით სააკაშვილის გუნდის ერთ-ერთი პირველი წევრი, რომელმაც მასთან თანამშრომლობაზე უარი თქვა, ახლა გაემიჯნეთ ივანიშვილს. როგორია მაშინდელი და ახლანდელი დემოკრატია. რა შეიცვალა ამ კუთხით?**

— 2006 წლის ადგილობრივი არჩევნების მერე გადაიდგა ის ნაბიჯები, რომელმაც არსებითად დაგვაშორა დემოკრატიას. 2005-2006 წლამდე იყო ძალიან მძიმე ფაქტები, ჟვანიას, გირგვლიანის საქმეები, რომლებზეც გამოძიება სად გაჩერდა — არ ვიცით. იმ დრომდე ამ ყველაფერს არ ჰქონდა სისტემური ხასიათი. არადემოკრატიული სისტემა შეიქმნა 2006 წლის მერე, მაშინ დაკარგა ჩვენმა დემოკრატიამ არსებითი პრინციპები, მაგრამ ფორმა შეინარჩუნა. გარედან საქართველო ისევ ჩანდა დემოკრატიული, ჯერ კიდევ არ განიხილავდნენ შიდა ქმედებებს საერთაშორისო არენაზე. დღეს არ ამოქმედებულა არც ერთი დემოკრატიული ინსტიტუტი, არ არის დამოუკიდებელი სასამართლო, ცესკო, ყველაფერი ერთი პარტიის ხელშია — პარლამენტიც აღმასრულებელი ხელისუფლებაც და ამ დროს, როცა ჯერ არ მიუღია ამ ყველაფერს დემოკრატიის ფორმა ბოლომდე, იცვლება ყველაფერი. თუ ხვალ შენ არავინ არ გეყოლება არჩეული და ყველა იქნება დანიშნული. დანიშნული დემოკრატია კი არ არსებობს.

**— თქვენ ახსენეთ, რომ საქართველო წინა ხელისუფლების დროს გარედან დემოკრატიული ჩანდა. ახლა როგორ ჩანს?**

— პირველი წელი არაფერი არ ხდებოდა, ფაქტობრივად გაყინული იყო ყველაფერი. არავის უცდია სააკაშვილის დროს დამახინჯებული ინსტიტუციური ფუნქციონირების გამოსწორება. რასაც ვუყურებთ, ვხედავთ, რომ გადაწყვეტილებებს მხოლოდ ერთი ადამიანი იღებს და რეალურად არავითარი როლი არ აქვს პარლამენტს, როგორც დამბალანსებელს. ეს მახინჯი სისტემა შენარჩუნდა. ამ ფონზე ემატება დანიშნული პრეზიდენტი, დანიშნული პრემიერი და დანიშნული უმრავლესობა პარლამენტში. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ივანიშვილი მიდის, მისი წასვლით იმ კოალიციას, რომელიც რჩება პარლამენტში, აღარ აქვს ლეგიტიმურობა. იმიტომ, რომ კოალიციაში მყოფი ადამიანები პირადად ბიძინა ივანიშვილის არჩეულები არიან. პარტიულად იქ არავინ არ ყოფილა არჩეული, არც პიროვნული თვისებებისა და პროფესიონალიზმის გამო.

**— ფიქრობთ, რომ საპარლამენტო არჩევნების დანიშვნაც აუცილებელია?**

— არჩევნები აუცილებელი გახდება, როგორც გითხარით, ის ადამიანები და მათი პარტიები არ არიან არჩეულები. ისინი არიან მოყვანილები ივანიშვილის კუდად. ეს დიდხანს ვერ გაძლებს. თუმცა, საპარლამენტო არჩევნები არასტაბილურ ვითარებას კიდევ უფრო გაამწვავებს. მეორე მხრივ არავინაა მზად საპარლამენტო არჩევნების ჩატარებისთვის. ახალი ძალები არ გამოკვეთილა. პარტიები, რომლებიც ივანიშვილმა შეიყვანა კოალიციაში პარტიულად ვერ განვითარდნენ. ამდენად ქვეყანა არის პარტიებისგან ფაქტობრივად დაცლილი, თუ არ ჩავთვლით ბურჯანაძის პარტიას და ნარჩენებადქცეულ „ნაციონალურ მოძრაობას".

**— ამ პროცესების პარალელურად, საქართველოში დაბრუნდნენ შევარდნაძის გუნდის წევრები. თუნდაც ლევან პირველი, რომელმაც უკვე გააჟღერა საკუთარი პოლიტიკური გეგმები. არის თუ არა ეს ნაბიჯი წარსულისაკენ, შევარდნაძის გზის გაგრძელება?**

— ცხადია, სააკაშვილიც, თავისი ოდნავშეცვლილი ფორმითა და განცხადებებით, მაინც იყო შევარდნაძის სისტემის გაგრძელება. წყვეტა არ ყოფილა. რევოლუცია დაარქვეს, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობის" ბევრი წევრი იყო შევარდნაძის მთავრობის მთავარი ბირთვი და ასევე, დღეს ამ ადამიანების დაბრუნება და თანაც ასეთი პრეტენზიებით, რომ პირდაპირ შემოვიდნენ პოლიტიკაში, ძალიან დამაფიქრებელია. იგივე ნაცვლიშვილი, რომელზეც ძალიან დადებითი აზრი აქვს პრემიერს. ამ ყველაფრის ფონზე პრემიერი ამბობს — მენდეთ და მე დავნიშნავ ადამიანებს. თუ ის ისევე ერკვევა ადამიანებში, როგორც ასახელებს ადეიშვილს, ნაცვლიშვილს, მაშინ გაუგებარია, რატომ უნდა ენდოს საზოგადოება მას. ასევე შეიძლება დააფასოს ლევან პირველიც და თქვას, რომ ის ძალიან წარმატებულია. ამ დროს გარედან რუსეთი ყველაზე ცუდი ფორმით მოიწევს და საზოგადოებას დიდი საფრთხის განცდას უქმნის. ამაზე არასტაბილური, ომის გარდა, აღარაფერია. ამის საწინააღმდეგოდ კი არაფერი კეთდება, არა მხოლოდ არაფერი არ კეთდება, ხელისუფლება საერთოდ არაფერს არ გეუბნება.

**— ამ ყველაფრის გათვალისიწინებით რა უნდა გაეკეთებინა საგარეო საქმეთა სამინისტროს და რა უნდა გააკეთოს ახლა?**

— საგარეო საქმეთა სამინისტროს უნდა ეაქტიურა იმიტომ, რომ როცა ხარ პატარა ქვეყანა, ხარ მარტო, დაუცველი, შენ გჭირდება სხვები. იმათ კი არ სჭირდები. ჩვენ ყოველთვის ვფიქრობთ, რომ ვართ სტრატეგიული ცენტრი, მაგრამ რეალურად არსებობს რაღაც სხვა ქვეყნების ინტერესები, რომელიც სხვათა შორის, დღეს მცირდება. ის ენერგეტიკული ინტერესები, რაც ევროკავშირსა თუ ამერიკას ჰქონდა, ნელ-ნელა კლებულობს. ჩვენ გვჭირდება უცხოეთი, რათა არ დავრჩეთ რუსეთთან პირისპირ, მარტო. აუცილებელია, რომ გარშემორტყმული ვიყოთ პარტნიორებით ამას ძალიან დიდი აქტიურობა სჭირდება, მეტადრე დღევანდელ მსოფლიოში. როცა არსებობს უამრავი სხვა ბევრად უფრო მწვავე კრიზისი — სირია, ერაყი, ავღანეთი თუ სხვა, საქართველო არის, არ ვიცი, მერამდენე ხარისხოვანი სხვა ქვეყნების, მით უმეტეს, ამერიკის პრიორიტეტებში. ჩვენ თუ არ ვიაქტიურეთ, არავინ არ მოვა და არ გვეტყვის, რა გიჭირთ, რა გაგიკეთოთ. ამ დროს ეს ერთი წელი საგარეო საქმეთა სამინისტრომ აბსოლუტურად არაფერი გააკეთა. პრემიერმაც არაფერი გააკეთა, სულ სამი ვიზიტი ჰქონდა — ერთი სტრასბურგში, ერთი ბრიუსელში და ახლა ბალტიისპირეთში, რაც არასერიოზულია. ეს არ არის ის ადგილები, სადაც გადაწყვეტილების მიღება ხდება. თუნდაც გაეროს გენერალურ ასამბლეაზე პრემიერის ჩაუსვლელობა ჩემთვის სრულიად გაუგებარია. ან მთლიანად სააკაშვილს უთმობს ასპარეზს, ან თვლის რომ სათქმელი და ასახსნელი არაფერია.

**— შესაძლებოდა, რომ პრემიერი და პრეზიდენტი ერთად წასულიყვნენ გაეროში?**

— პრემიერს არც კი უცდია იმის გაგება, შეიძლებოდა თუ არა მისი იქ წასვლა. ახლა ვერ ვიხსენებ იყო თუ არა მსგავსი პრეცედენტი, მაგრამ იმ დროს, როცა ლაპარაკია კოჰაბიტაციაზე, როცა უცხოელები ხელს უწყობენ ამ პროცესს, ცხადია, არავინ იტყოდა უარს მათ ერთობლივ ვიზიტზე. ამ შემთხვევას ორივე კარგად გამოიყენებდა. სხვათა შორის, ისიც უნდა ითქვას, რომ სააკაშვილი ცუდად არ გამოსულა, როგორც ჩანს მას ოპოზიცია უფრო უხდება, ვიდრე ხელისუფლებაში ყოფნა.

**— ამ ყველაფრის ფონზე რისთვის უნდა იყოს ქართული საზოგადოება მზად?**

— მოდის ძალიან დიდი დაბნეულობის პერიოდ აი, ამისთვის უნდა იყოს საზოგადოება მზად.

**თათია კოზიძე**

## ალიან-ჩალიანი

## მოსაგვარებელი კვლავ ბევრი რამ რჩება

**საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი ერთწლიანი მუშაობის მიღწევებზე საუბრობს. როგორც დავით სერგეენკომ ჟურნალისტებს განუცხადა, საქართველო ამ ერთი წლის განმავლობაში გადავიდა საყოველთაო ჯანდაცვაზე, რისი ფუფუნებაც მსოფლიოში მხოლოდ 33 ქვეყანას აქვს. ასევე გაორმაგდა სოციალური დახმარება და პენსიები გაიზარდა 110-დან 150 ლარამდე.**



**— ქვეყანა გადავიდა ახალ „შრომის კოდექსზე", რაც ასევე უმნიშვნელოვანესი მიღწევაა. ეს, რა თქმა უნდა, არასრული ჩამონათვალია, განსაკუთრებით იმ საკითხების ფონზე, რომელიც კვლავ რჩება მოსაგვარებელი. ეს ეხება ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ტერიტორიულ მთლიანობასა და კონფლიქტურ რეგიონებს, ასე, რომ კვლავ რჩება ისეთი საკითხები, რასაც მთავრობის მხრიდან ეფექტური მუშაობის გაგრძელება სჭირდება, — აღნიშნა დავით სერგეენკომ.**

**ინტერპრესი**

# სააკაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოსწორება შეუძლებელია



აშშ-ის პრეზიდენტის, ბუშის ადმინისტრაციის მაღალი მოხელეების ბოლოდროინდელი განცხადებები, არა მარტო სააკაშვილის თითქმის ათწლიანი მმართველობის დასასრულის გარკვეული შეფასებაა, არამედ ამ შეფასებაში საკუთარი პიროვნების დადებით კონტექსტში მოხსენიების მცდელობაც. განცხადებებში, რომ ცხინვალის ომს განსაკუთრებული ადგილი უკავია, არც ეს არის გასაკვირი, ვინაიდან სწორედ ამ ომმა წარმოაჩინა ბევრი ისეთი ნეგატიური მომენტი, რამაც ქართველობას და არა მარტო მათ, თვალი აუხილა ამერიკაზე.

**იციან გუშინდელმა და დღევანდელმა ამერიკის ადმინისტრაციებმა, რა „შვილი“ გამოზარდეს — სააკაშვილისა და ნაცების სახით? იციან, რომ ერთ მშვენიერ დღეს, გაუწონასწორებელი სააკაშვილი, ყველაფერს დაფქვავს მათ შესახებ, თან იმასაც დაამატებს, რასაც არ ყოფილა? მაგრამ რაც იყო, ისიც ხომ საკმარისია პირველი ქვეყნის ისედაც შერყეული იმიჯის, კიდევ უფრო შესარყევად?! როგორც ჩანს, იციან და თავის მართლებით თავს იზღვევენ.**

აშშ-ის იმჟამინდელი ადმინისტრაციის ვარსკვლავი, სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი აცხადებს, რომ კატეგორიულად აფრთხილებდა სააკაშვილს, ომი არ დაეწყო. ანალოგიურს და უფრო მეტსაც ამბობს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ბრაისა: „აშშ დაჟინებით, მკაცრად, ზოგჯერ უხეშადაც ეუბნებოდა სააკაშვილს, გულშიც კი არ გაივლიოთ რუსეთთან სამხედრო დაპირისპირება, წააგებთ, საქართველოს მოგების არანაირი შანსი არ აქვს“.

ყოფილ ორ დიპლომატს მიაჩნია, რომ სააკაშვილი ერთობ მოუდრეკელი პიროვნება იყო, ისეთი, პირველი ქვეყნის სახელმწიფო დეპარტამენტის გაფრთხილებას რომ აინუნშიაც არ აგდებდა. რაც, რბილად რომ ვთქვათ, უდიდეს ეჭვებს ბადებს. მართალია, სააკაშვილი თავნება და მოუთოკავია სხვებთან მიმართებაში, მაგრამ არამც და არამც სახელმწიფო მდივანთან მიმართებაში, იმ სახელმწიფო მდივანთან, რომელიც ადმინისტრაციის სახელით აფრთხილებდა.

**გარდა ამისა, ამერიკას არაერთხელ გამოუყენებია მკაცრი ზომები ჯიუტი სახელმწიფო მეთაურების მიმართ — ცხადია პატარა და საშუალო ქვეყნების, როგორებიც არიან ერაყი, ლიბია, იუგოსლავია, პანამა და სხვები. რაც შეეხება შედარებით დიდ ქვეყნებს, მაგალითად, ირანს აშშ-მა ვერაფერი მოუხერხა, გარედან ძალისმიერი ჩარევის გზით, მაგრამ ეკონომიკური სანქციებით სერიოზული ზიანი მიაყენა ამ ქვეყნის მოსახლეობას. 35 წლის განმავლობაში ეომება აშშ ირანის ხელისუფლებასა და ხალხს, თუმცა უშედეგოდ. და ბოლოს, როგორც იქნა გადაწყვიტა მასთან დიალოგზე გადასვლა.**

რაის-ბრაისას განცხადებებიდან ჩანს ერთი რამ — აშშ-ის პოზიციის გათეთრება , თან საკუთარი თავის წუმპედან დაუსვრელად ამოყვანა. მაგრამ არა მარტო ეს ჩანს მათ განცხადებებში, არამედ „დაუმორჩილებელი“ სააკაშვილის გათეთრებაც.

რატომღაც ბატონი ბრაისა აცხადებს — „საქართველოს ვაფრთხილებდითო“ — შეგნებულად ურევს ერთმანეთში სააკაშვილსა და საქართველოს. დიპლომატს არ ეკადრება საქართველოსა და სააკაშვილის გაიგივება. მას პირდაპირ უნდა ეთქვა „სააკაშვილს ვაფრთხილებდითო“ იმიტომ, რომ სააკაშვილის ასეთი გაფრთხილება არც კონდოლიზა რაისის და არც მეთიუ ბრაისასგან საქართველოს არ სმენია. **საქართველომ არაფერი იცოდა იმ კულუარული გაფრთხილებების შესახებ, რასაც რაის-ბრაისა აკეთებდნენ სააკაშვილთან. მაგრამ აქაც შეგნებული სიტყვის თამაშია. ერთია, კაკალი პოლიტიკოსის პირადი გაფრთხილება და მეორეა საქართველოს გაფრთხილება.**

საქართველო ქვეყანაა, უსულო საგანი. აი, რომ ეთქვა ქართველ ხალხს ვაფრთხილებდითო (რაც არ ყოფილა), მაშინ მთლიანად ერს უნდა მოსთხოვო პასუხი. იტყვი — საქართველოს და მორჩა, სხვა მტკიცება საჭირო აღარ არის — ასე თვლის ბრაისა.

რაის-ბრაისა ამ განცხადებებით, უსუსურობის შავი ლაქებით, „ალამაზებენ“ მსოფლიოში პირველ, მძლავრ ქვეყანას. მეორე საკითხია, ისეთი რა გაფრთხილება მიიღო სააკაშვილმა, რომ სასწრაფოდ ტრიბუნა მოამზადა, „დაპყრობილ“ ცხინვალში გამარჯვების სიტყვის წარმოსათქმელად?!

რაის-ბრაისას მიხედვით, არაფერი იცოდნენ ქართული ჯარის და მძიმე ტექნიკის ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიებზე გადაყვანასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, ეს ინფორმაცია მათ არ აცნობა საქართველოში აშშ-ის ელჩმა და ჯარის გამწვრთნელმა ასობით ამერიკელმა სამხედრო სპეციალისტმა. და არა მარტო მათ, არამედ საქართველოში აკრედიტებულმა ისრაელის საელჩომაც. ისრაელის მაღალი სამხედრო ჩინებიც ხომ იმჟამად იმყოფებოდნენ საქართველოში?!

**დავუშვათ, ყველაფერი ასეც იყო, მაგრამ როდესაც შეატყვეს, რომ დენთის სუნი ტრიალებდა, რატომ არ ჩამოვარდნენ თბილისში სააკაშვილის შესაჩერებლად?!**

როგორც ამერიკელი მკვლევარი ლინკოლ მიტჩელი წერდა — სააკაშვილის აგრესიას სახელმწიფო დეპარტამენტსა და თეთრ სახლშიც იზიარებდნენ, თანაც არცთუ დაბალ წრეებში. ქართველ საზოგადოებას ალბათ ახსოვს ცხინვალის ომთან დაკავშირებით გაკეთებული სატელევიზიო დადგმა, რომელიც, ამერიკელი ექსპერტის წიგნის მიხედვით იყო გადაღებული. მასში გარკვევით არის ლაპარაკი, თანაც აშშ-ის პრეზიდენტთან, როკის გვირაბის დაბომბვაზე (რუსეთის ტანკებისთვის ბარიერის შესაქმნელად).

ცხინვალის ომის პერიპეტიები წუთებსა და საათებში ზუსტად არის გადმოცემული ებრაელი მკვლევარისა და ჟურნალისტის ლევ გუნინის წიგნში, სადაც ავტორი აღწერს იმ ვითარებას, რაც ომის წინა და ომის პერიოდში განვითარდა. წიგნში გამოკვეთილადაა ნახსენები აშშ-ის ადმინისტრაცია და ისრაელის მთავრობა, ცხადია ომის გაჩაღებასთან მიმართებაში.

**რაის-ბრაისას გამონათქვამები შეიძლება სააკაშვილის დანაშაულადაც აღიქვას მკითხველმა, მაგრამ არც მთლად ასეა საქმე. მართალია, ორივენი, თავის მართლების მიზნით სააკაშვილს ადებენ ხელს, მაგრამ არც ისე მყარად, როგორც საჭიროა და როგორც ამას გარემოება მოითხოვს, პირიქით, ისინი დამნაშავე ხელისუფალის გადარჩენას და რუსეთის დადანაშაულებას ცდილობენ.**

„7 აგვისტოს, როცა საქართველოს მთავრობა დარწმუნდა, რუსეთს ჯარი შემოჰყავდა, ქართულმა შენაერთებმა უკან არ დახიეს, არადა ვურჩევდით, რომ უკან დაეხიათ და მიეღოთ თავდაცვითი პოზიციები. ამ შემთხვევაში მთელ მსოფლიოს ეცოდინებოდა, რომ რუსეთი საქართველოს დაესხა თავს, დიდი შეცდომა კი ის იყო, რომ მას შემდეგ რაც რუსებმა და ოსებმა ქართული სოფლების დაბომბვა დაიწყეს, საქართველომ მათ ცეცხლით უპასუხა“, — ამბობს ბრაისა.

**მის და სხვათა გასაგონად — სააკაშვილმა ჯარი კი არ დახია, პირიქით შეიყვანა. გარდა ამისა, როგორც ზონაში განლაგებული ეუთოს დამკვირვებლები ამბობდნენ — ომის დაწყებამდე იქეთა მხრიდან აქეთა სოფლები არ დაბომბილა. რუსეთმა მძიმე ტექნიკა მას შემდეგ შეიყვანა ცხინვალში, რაც ქართულმა ტანკებმა ერთი ჯერითი ატეხეს იქ, წინა ღამის სარაკეტო, მასირებული შეტევის შემდეგ. რუსეთის იმჟამინდელ პრეზიდენტს მედვედევს სწორედ დაგვიანებულ სამხედრო პასუხში საყვედურობდნენ რუსი სამხედროები და სპეციალისტები.**

„2008 წლის ივლისში ჩემმა რუსმა კოლეგამ მითხრა, რომ მომდევნო თვენახევრის განმავლობაში მთავრობაში არავის ეცალა საქართველოსთან დაკავშირებული სამშვიდობო გეგმის განსახილველად. მივხვდი - ომის დაწყება გადაწყვეტილი ჰქონდათ. საქართველოს არაფრის გაკეთება არ შეეძლო ამის თავიდან ასაცილებლად“, — აცხადებს ბრაისა.

**ამ სიტყვების ავტორის გამჭრიახმა გონებამ, ვიღაც რუსი დიპლომატის ნათქვამზე განჭვრიტა, რომ რუსეთი ომს იწყებდა, მაგრამ ვერაფრით ამოხსნა, რომ „დაუმორჩილებელი“ სააკაშვილი აგრესიულ ნაბიჯს წინ „გადაელობებოდა“, რითაც გააუბედურებდა არა მარტო იქ მცხოვრებ ხალხს, არამედ საქართველოს. ნუთუ ძნელი წარმოსადგენი იყო ბრაისასთვის სააკაშვილის ქმედება? და თუ იყო, რატომ არ უთხრეს მას ამის თაობაზე პირადად, თბილისში?!**

„2008 წლის ივლისში მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ჟვანიამ აღელვებულმა დამირეკა —რუსეთს მძიმე ტექნიკა ჯავაში შეჰყავსო“. როგორც ჩანს, ბრაისას წლები ერევა, 2008 წელს ჟვანია თუ დაურეკავდა, მხოლოდ საიქიოდან. რაც შეეხება მაშინდელ პრემიერ-მინისტრ გურგენიძეს, თურქული პრესის მიხედვით, ომში დამარცხებას, თურქულ ღამის კლუბებში ცეკვით იქარწლებდა. თუ რუსებს უკვე ჰყავდათ შეყვანილი მძიმე ტექნიკა, რაღა საჭირო იყო ახლის შეყვანა?

ჟვანიას ზარი ადრინდელ პერიოდს ეხება. მძიმე ტექნიკა, ასანთის კოლოფი არ არის, რომ ისე შეიყვანო სადმე, დედამიწის ხელოვნურმა თანამგზავრმა არ დააფიქსიროს. რაღაც არ მახსოვს მძიმე ტექნიკის ჯავაში „შეყვანის“ გამო ამერიკას განგაშის ზარები შემოეკრას. არც გაეროს უშიშროების საბჭოს განცხადება მახსოვს — რუსეთის გაკიცხვითა და დატუქსვით.

**ასე რომ, ბრაისას მოჭორილი ამბავი მხოლოდ სააკაშვილისა და მისი ნაცების გამართლებას ემსახურება ისე, როგორც ეს: „არ ვიცი, რა დანაშაული უნდა ჩაედინათ პოლიტიკოსებს, პოლიტიკის შემუშავებისას, რომლებიც ყველა ხერხით ცდილობდნენ ქვეყნის გადარჩენას, მაშინ როცა მეზობელი ქვეყნის 100-ჯერ დიდი ჯარი ქვეყანას თავს დაესხა“.**

გარდა ამისა, ბრაისა ასეთ რამესაც ამბობს: „მათ დაავიწყდათ, რომ საბოლოო ჯამში გადაწყვეტილებებს ქვეყნის არჩეული ლიდერები იღებენ და ამ შემთხვევაში მათ არასწორი გადაწყვეტილება მიიღეს“.

ეს ჭეშმარიტება ნებისმიერი დამოუკიდებელი ქვეყნისთვის უმთავრესი კანონია, მაგრამ არა საქართველოსთვის, რომლის ნებისმიერი ხელისუფლების ნებისმიერ ნაბიჯს, ამერიკა აკონტროლებდა და აკონტროლებს. ასე იყო 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, რომელშიც თავფეხიანად იყო გადაშვებული ბრაისა და მისი ამერიკელი კოლეგები. გახსოვთ ალბათ, პრეზიდენტ ბუშის მილოცვაც, რომელმაც არჩევნების შედეგების დაჯამებამდე გაიჟღერა. მიზანი - სააკაშვილისთვის მეტი ქულების დაწერა იყო.

2008 წლის არჩევნებში „ნატოს“ თემის მიტმასნებაც ამერიკელთა იდეა იყო და 70%-ზე მეტი მხარდამჭერის დაფიქსირებაც მათი ძალისხმევით მოხდა. ასე, რომ ბრაისას განცხადება - ადგილობრივი ხელისუფლება იღებს საბოლოო გადაწყვეტილებასო, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

რაც შეეხება ნატოში შესვლა-არშესვლას — ეს საკითხი 2008 წლამდე იყო გადაწყვეტილი - საქართველოს ხელისუფალთა სურვილის საწინააღმდეგოდ. 2008 წლის ომმა მას საბოლოო წერტილი დაუსვა.

„ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში სხვაც ბევრია სააკაშვილის იმჟამინდელი პოლიტიკური ქმედების გამამართლებლად, რაც თავისთავად მეტყველებს აშშ-ის არა მარტო იმჟამინდელი ადმინისტრაციის მცდარ პოლიტიკაზე, ამჟამინდელისაც.

როდესაც პრეზიდენტი ობამა დემოკრატად მოიხსენიებს სააკაშვილს, როდესაც დამნაშავე სააკაშვილის გაეროში გენასამბლეაზე გამოსვლას ტაშს, თუნდაც კანტიკუნტს, შეაგებებენ, მსოფლიოს არაფერი ეშველება.

ორმაგი სტანდარტების ნათელი მაგალითია ის, რაც დღეს მსოფლიოში ხდება. არ ჩამოიშორებენ დიდი სახელმწიფოები ამ უკუღმართობას, უარესი უკუღმართობის მოწმე გავხდებით. სააკაშვილის აგრესიამ, რომელიც უდავოდ ქვეყნის ღალატის ტოლფასია, აატირა პირდაპირი მნიშვნელობით საქართველოს ის მოსახლეობა, რომელიც საოკუპაციო ზონაშია მოქცეული. რას აკეთებს ხელისუფლება? ხელისუფლება დაბნეულია. მან არ იცის რა პასუხი შეაგებოს საზღვრის გავლებას.

„სოჭის ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ ბევრი რამ გაირკვევა და დალაგდებაო“, — ბრძანა ივანიშვილმა ექსპერტებთან შეხვედრის დროს. მისი სიტყვებით, მავთულხლართების გაბმა სოჭის ოლიმპიადის ტერორიზმისგან დაცვას ნიშნავს, რაც არ არის გამორიცხული. ისე, როგორც გამორიცხულია გაბმული მავთულხლართების ოლიმპიური თამაშების შემდეგ აღება.

**სააკაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოსწორება შეუძლებელია. და რაც არ უნდა ვიძახოთ — ჩვენი აფხაზი და ოსი ძმებიო, მათ გულს ვერ მოვიგებთ, რამეთუ მძიმე იარა, რომელიც მათ თბილისმა მიაყენა, საქმით და არა ლიტონი სიტყვით იმკურნება. საქმე კი არ ჩანს. როდესაც თბილისი გამუდმებით გაიძახის სეპარატისტული, მარიონეტული ხელისუფლებაო — ამით მათ გულს ვერ მოალბობ. როდესაც აცხადებ, რომ აფხაზეთ-სამხრეთ-ოსეთთან დაკავშირებით მოლაპარაკებას არ დავიწყებთ, ვიდრე იქ რუსეთის საელჩოებიაო, ამით რუსეთის გულს ვერ მოალბობ.**

საქართველოს ხელისუფლებას რუსეთთან სალაპარაკო გეგმა არ აქვს შემუშავებული, ვინაიდან მას ჭკუა-გონება სჭირდება, რაც დღევანდელ ხელისუფლებაში დიდი დეფიციტია. გარდა ამისა, მსგავსი გეგმაც რომ ჰქონდეს — შეძლებს თბილისი, ვაშინგტონის დაუკითხავად, ნაბიჯის გადადგმას?

დღევანდელი ხელისუფლება ამის გამკეთებელი არ არის. მაშ რა რჩება საქართველოს? ის, რაც ივანიშვილმა ბრძანა — ისეთი ქვეყანა უნდა გავხდეთ, რომ აფხაზები და ოსები აქეთ გვეხვეწებოდნენ მიგვიღეთო. ვირტუალური გეგმაა. სჯერა ვინმეს, რომ უახლოესი 20 წლის განმავლობაში (ივანიშვილის განცხადებით) საქართველო ასეთად იქცევა? ღმერთმა ქნას, მაგრამ საქმის კეთებას მცოდნე კადრები სჭირდება. ასეთები კი აქ არ არიან.

**გარდა ამისა, საჭიროა საზოგადოებაში თვითკრიტიკულობის განვითარება, რაც უახლოეს წლებში შეუძლებელია, მას არაერთი თაობა დასჭირდება. და რაც მთავარია — აღმზრდელი. ივანიშვილი, რომელიც საზოგადოების აღზრდას გვპირდება, თვით არის გარდასაქმნელი, თუმცა მის ასაკში ეს შეუძლებელია. მისი პიროვნული ხასიათი, მისი „მე“ თვალნათლივ გამოჩნდა ექსპერტებთან შეხვედრის დროს. კაცს, რომელიც კრიტიკას კუშტად ხვდება, თავის ნახელავს დადებითად აღიქვამს, სხვისას კი უარყოფითად - რა გარდაქმნის?!**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

## იური ბონდარევი

# გაელვება



**გამოვიდა გამოჩენილი რუსი, საბჭოთა (ასე უწოდებს მას გამომცემლობა – რედ.) მწერლის იური ბონდარევის მოკლე მოთხრობების, ესეების კრებული „გაელვება“, რომელიც გვიამბობს რთულ ადამიანურ ურთიერთობებზე საზოგადოებაში, ადამიანთა ფსიქოლოგიურ და სოციალურ ქცევებზე, ცხოვრებისა და ბუნების მოვლენებზე. ორიგინალურია და საინტერესო ავტორის თხრობის მანერა. მას აქვს ხშირი დიალოგები საკუთარ თავთან და იმპროვიზირებულ, წარმოსახვით პიროვნებებთან, სადაც გულწრფელ, ღრმად ანალიზირებულ დავაში მოჩანს ავტორი თავისი გულწრფელი და მიუკერძოებელი მიდგომებით დღევანდელი მოვლენებისადმი, რაც მეტად იზიდავს მკითხველს. ობიექტურად მიგვაჩნია მისი შეფასებები ი.სტალინის პიროვნებასთან დაკავშირებითაც.**

**გთავაზობთ ჩვენთვის საინტერესო ამონარიდებს ამ წიგნიდან.**

## შეხედეთ საათს

მაპატიეთ ანბანური ბანალობა: თანამედროვე პრაგმატული ადამიანი – ბუნების არქიტექტორია. მე კი მას თვითმკვლელს ვუწოდებ. მაგრამ უფრო საშინელებები არიან ეგრეთ წოდებული გონებათა და განწყობილებათა გამგებლები, კერძოდ კი: ყოვლისშემძლე პრესა და მისი დიქტატორები, რომლებიც მზად არიან მიახრჩონ ბავშვი, წმინდანის ღიმილით სამეძაო სახლი დავრდომილთა თავშესაფრად მოგასაღონ. თუმცა, მიმდინარეობს ცხოვრებისეული დავა მათ შორის, ვინც კეთილია, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, ვინც ნაწრთობია თავის დაუნდობელ სიმართლეში, რომლის სახეც ქარში წარმოაჩენს თავის ქალას მეკობრის დროშაზე. ფოტოგრაფია, მაგალითად, როგორი საშინელიც არ უნდა იყოს იგი, კი არ აირეკლავს, არამედ წარმოაჩენს რეალობას, ეჯიბრება და თრგუნავს კიდეც სიტყვას. ფოტოგრაფია – აგენტია, ჯაშუში, მსტოვარი, რომელიც იმახსოვრებს ყველაფერს, რაც განკითხვის დღისთვის დამოწმება იქნება. და, საერთოდ, სიტყვა – ეს ამაოებათა ამაოებაა და სულის ტანჯვა.

– თქვენ საინტერესოდ გადახვედით ლათინურზე, პატივცემულო ირონისტო! სულის ტანჯვა? ეტყობა, გამოდის, რომ დუმილი უფრო ღირსეული, ვაჟკაცურია, ვიდრე თავად სიტყვა? თქვენი აზრით, სიტყვაში, სამწუხაროდ, თავსდება ყოველგვარი ამაოებაც, სულის ტანჯვაც და, მაშასადამე, სიცრუეც? მეტად საინტერესოა, ეშმაკმა დამლახვროს! მაშინ ცრუობს ჰამლეტიც, როდესაც ორმოცი ათას ძმაზე ლაპარაკობს? ნუ იღიმით, შემთხვევითი არაა შეკითხვა.

– თავს ნებას ვაძლევ, გავიღიმო. ეს შექსპირის ფრაზაა – სიტყვიერი პროთეზები თეატრალური სილამაზისთვის. არ მინდა, გაწყენინოთ, მაგრამ მომაბეზრებელი კლასიკური ფრაზების სილამაზეა, ლამაზი ჟესტები – სიცარიელის უცვლელი აჩრდილია. არ მწამს სხვა სიტყვა, რომელიც ამბობს, რომ მშვენიერი – ეს ერთადერთი სარკმელია, რომლის მეშვეობითაც სული იმზირება ადამიანში. და ჩემთვის გასაგებია, თუ სიტყვისა და საქმის სრული მტრობისაგან გაწბილებული რომის იმპერატორი დიოკლეტიანე ჩამოშორდა ხელისუფლებას და კომბოსტოს მოყვანა დაიწყო. დიოკლეტიანეები ჩვენს ცხოვრებაში არ არიან. რუსეთი საბოლოოდ ყბედობით მოაშთეს. პანაშვიდითა და სისხლის სამართლის საქმეებით აქოთებულ სიცრუის ოკეანეში მართალი სიტყვა მყიფე სიმარტოვეშია, როგორც ბალახის ღერო. ახლა იგი უძლურია, შეაჩეროს გარყვნილების ნიაღვარი. წარსულ რუსეთში სამი რევოლუცია ურთიერთდაპირისპირებული დასაწყისი იყო, მაგრამ სტალინის ეპოქის სიდიადემ შემოაბრუნა მეტად მოუქნელი გოლიათი რუსული სამართლიანობისკენ. ბოლოს და ბოლოს, მსოფლიო ასი მილიონი წელიწადია არსებობს. იგი მოხუციცაა და ჩვილიც. ჩვილს უნდა ასწავლო სიარული, რომ არ ვარდებოდეს. სტალინმა ასწავლა რუსეთს სიარული, ფრენა, შექმნის უნარი... მაგრამ დამთავრდა გენიოსების დრო, დადგა ტუტუცების ეპოქა. ნუ იფიქრებთ, ძვირფასო, რომ მე პირადად ამას ხელისუფლების კატეგორიას მივაკუთვნებ. არ მიყვარს დორბლიანი ლაქუცი, ამიტომ მივაკუთნებ მასვე ხალხის დიდ ნაწილს, რომელსაც ჯერჯერობით ვერც ვერაფერს ასწავლიან და ვერც ასწავლეს ვერც გატეხილმა შუბლმა, ვერც მგლის ყმუილმა ცარიელ კუჭზე, ვერც გამაფრთხილებელმა სიტყვამ.

– ტუტუცების ეპოქასთან დაკავშირებით ყველაფერში გეთანხმებით. ბრავო! გმადლობთ აფორიზმისთვის!

– ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. ეს ჩემი კი არა, სტალინის სიტყვებია. რომ ყოფილიყო, თუმცა ისტორიაში არ არსებობს „რომ ყოფილიყო“... მას რომ მოესმინა წითელ მოედანზე უნიჭო როსტროპოვიჩის „ვიოლინოს“ მკრეხელური წრიპინი საბჭოთა ხელისუფლების დახვრეტის ზეიმის აღსანიშნავად, ის თავის სიტყვებს დაუმატებდა: 80-90-იანი წლების ისტორია გაშიშვლდა ჩვენს წინაშე, როგორც თანამიმდევრული უგუნურობა, როგორც ლოგიკური აბსურდი, რომლის ცენტრშიც ყველას და ყველაფრის გამეძავებაა.

– კიდევ ერთხელ „ბრავო“! თქვენ – ორთოდოქსი ხართ, ნოსტალგიით ავადმყოფი! გსურთ ნათელ წარსულში დაბრუნდეთ? უგუნურობაა, თუ გინდათ. კომუნისტები და დემოკრატები! ერთნიც და მეორენიც ერთნაირად კარგებიც არიან და ერთნაირად ცუდებიც!

–მე რეალისტი ვარ, რეალიზმი კი უარყოფს იდეალურს. იგი არ არსებობს. ეს ხოჭოსაც კარგად ესმის. იდეალური– ეს მითია.

– არ ვარ წინააღმდეგი.

– მეტად ამაღელვებელია! მაგრამ ხომ არ დაგვეთანხმებოდით, რომ დანატრებული კურტიზანი ქალი – სიცრუე – იცმევს ყველაზე ნატიფ, მოდურ ტანსაცმელს, რათა ჰყავდეს საყვარელთა მთელი ლეგიონი. გაუგონარია: ჯერჯერობით ყოველივე ჯანსაღ აზრს მოკლებული რამის კეთება შესაძლებელია საბრალო და მიმნდობ რუსეთში. ხელისუფლებაც აღფრთოვანებულია გამოთაყვანებული რუსეთელების ხანგრძლივი მოთმინებითა და შემსრულებლობით: ჩვენ ვმართავთ, მათ კი, დაე, აჩვენონ რამდენიც უნდათ და რაც უნდათ და დაიუძლურონ თავი შიმშილობით – ეს უბედურება სასახლეში არავის აშინებს. ხელისუფლების სინდისი? რა არის ეს? სინდისი – ეს ქიმერაა. სინდისი – ეს იდეოლოგიაა. ხელისუფალთა იდეოლოგია ეს არის ერთი რამ – სიცრუე, სიცრუე და სიცრუე, რომელსაც დასასრული არ გააჩნია. პასუხად კი – ესაა ხვრინვა ცამდე და ნიჭიერი ხალხის აუხსნელი მოუქნელობა...

– აქ კი, თქვენ ფეხი დააჭირეთ კოჟრზე საკუთარ თანამემამულეებს! ბოლოს და ბოლოს, რითი ახსნით ამ მტკივნეულ ხვრინვას? დაღლილობით? გულგრილობით? მართლმადიდებლური შემგუებლობით? როდემდე გაგრძელდება ეს? ათეული წლობით? ოცეული წლობით?

– აფეთქების წამამდე.

– ოჰ, უყურე შენ! ბუნტი ხვალ? ერთი კვირის შემდეგ? ორშაბათს? იქს დღეს? გაიღვიძოს და „ვაშას“ ძახილით გაიჭრას წინ? თუმცა, ათი წლის განმავლობაში დამპალი პრესა გახრწნის ყველას სათითაოდ. აღარავინ იქნება ამფეთქებელი და ვეღარავინ დაიძახებს „ვაშას“.

–ნუ ჩქარობთ. გაუსწარით საკუთარ თავს – დაინახავთ საკუთარ წელს. მაშ ასე, საშუალოობა, რომელიც გამოფიტულია ყოველივე რუსულისადმი ზიზღით, მათ შორის ჩვენი პრესაც, ურიცხვი რაოდენობით ფაციფუცობს ხელისუფლების გარშემო. იგი ყოველთვის თუხთუხებს, ბობოქრობს



ჭარბი ენერგიის სიუხვით, ემსახურება ხელისუფალთ, ასნებოვანებს სუსტ თავუკებს იდიოტომანური და ამერიკული შიზოფრენიით. ეს კი ნიშნავს – ქედის მოხრას მწვანე კუპიურის წინაშე, შურს, უგუნურობას, გამყიდველობას და სხვა ტკბილ სისაძაგლეს. მაგრამ ზეიმი ნაადრევია, თუმცა, ჯერ კიდევ ოთხმოცდაცამეტ წელს დადგა საბედისწერო „ყოფნა-არყოფნა“. რუსეთი მხეცური სიმკაცრით დააყენეს მუხლებზე, შეაჩერეს კლდის ქიმზე, შემდეგ ტყეპეს, ლპობის დორბლი სისხლთან ერთად ინთხევა ლაგამიდან... წარმოგიდგენიათ ასეთი სურათი, ძვირფასო? მაგრამ როდესაც რუსეთი, ბოლოს და ბოლოს, მოიშორებს ნალებს, ფეხქვეშ მოიქცევს...

– რას მოიქცევს ფეხქვეშ? ვის მოიქცევს ფეხქვეშ? ყველა ჩვენგანს? შესანიშნავია!

– გათელავს ყოველივე საზიზღრობას თავის ქვეშ.

– ოჰო, მაშასადამე, თქვენ წითელი ხართ? რუსი ნაცისტი? ნაციონალისტი?

– მე? მე უბრალოდ რუსი ადამიანი ვარ, თანაც რომელიც უარყოფს ნაციონალისტურ მესიანობას.

– ხომ არ ელოდებით უაზრო და დაუნდობელ ბუნტს? თქვენს სიტყვებს სისხლის სუნი აუვიდა.

– გული ამირია თქვენმა ტანვარჯიშულმა ვარჯიშებმა სისულელეში. პასუხად მინდა გითხრათ, რომ შეიძლება, არც ისე ბოროტ სიტყვამრუშს, როგორიც თქვენა ხართ, უნდა ეშინოდეს დიდი რისხვისა. თქვენც, მეც – ყველა უფლის სამსჯავროს წინაშე წარდგება და აგებს პასუხს, თუ რას სჩადიოდა უბედურების წლებში. რისხვის დაწყებამდე კი წამი ისრებზე მოჩანს. შეხედეთ საათს. თუ ჩამორჩება, მომართეთ იგი. და დაიხსომეთ: არა სისხლი, არამედ ხალხის საერთო გამოფხიზლებაა ღვთის უმაღლესი სასჯელი.

## მცოდნე კაცის ნაამბობი

ფიზიკური და სულიერი გადაღლილობის დღეებში მოინდომა, შეხვედროდა მღვდელს, მამა გრიგოლს, ვისთანაც სწავლობდა სემინარიაში.

მონასტერში განმარტოებით მცხოვრები მოხუცი მონახეს და მიიყვანეს მასთან, დაბნეული, იმის შეუცნობელი, თუ რისთვის დასჭირდა იგი ყოვლისშემძლე ადამიანს, ვისი დიდება და ძალაუფლება იწვევდა აღტაცებასაც და შიშსაც. სტალინი მას თავის დაქნევით მიესალმა, მშვიდი ცნობისმოყვარეობით დიდხანს მისჩერებოდა თავის ყოფილ მასწავლებელს, თოვლივით თეთრს, წელში მოხრილს, შემკრთალი რომ იწერდა პირჯვარს, და მცირე დუმილის შემდეგ ჰკითხა:

– რისი გეშინია, მამაო გრიგოლ? რატომ გეშინია?

– შენ ძალიან დიდი ხარ, – წყნარად უთხრა გრიგოლმა და მორჩილად დახარა თავი.

– მისი არ გეშინია, – გაიცინა სტალინმა და ჭერისკენ მიუთითა, – ჩემი კი გეშინია? თუ ასეა, ესე იგი ღმერთი არაა?

– ღმერთი არის.

– და არის უკვდავება?

– და სულის უკვდავება...

– პიროვნების უკვდავება – არის იგი?

– ეს მე არ ვიცი.

სტალინი ცოტა ხნით დაფიქრდა, გაიარა კაბინეტში.

–სწორია. გულწრფელია. ის, რაც შენ თქვი, იციან მხოლოდ ზეცაში. თუ წინააღმდეგი არ იქნები, მამაო, შენთან მინდოდა მესაუბრა სწორედ უფალზე. შეიძლება ასეთი საუბარი ჩვენს შორის?

და აი, მრავალი წლის შემდეგ მე შევეცადე, მეხსიერებით ჩამეწერა ის, რაც მამა გრიგოლმა მიამბო მონასტერში, საქართველოში ჩემი მოგზაურობის დროს თავის გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე. მათ შორის დაახლოებით ასეთი საუბარი გაიმართა:

– მითხარი, მამაო, რა არის ცხოვრების არსი?

– კეთილი. თავად ცხოვრება, იოსებ... უფალმა რომ მოგვცა.

– რატომ მითხარი იოსებო?

– შენ იყავი ჩემი მოწაფე. ამან შენ არ უნდა დაგამციროს.

– მე მისი მუდმივი მოწაფე ვარ. – სტალინმა თვალებით ჭერისაკენ მიუთითა. ოღონდ დაუდევარი მოწაფე. ესე იგი, ცხოვრების აზრი – თავად ცხოვრებაა? თითქმის ასე ფიქრობდნენ გოეთე და ტოლსტოი. შენ ისინი წაგიკითხავს?

– არა. მე წმინდა წერილებს ვკითხულობ...

– შენ თქვი „კეთილიო“. ასეა, მამაო? შენ აქ, რა თქმა უნდა, გულისხმობ რწმენას, სიყვარულს, ჭეშმარიტებას... და კიდევ რას? ბოროტებისადმი წინაღუდგომლობას? კეთილმოწყალებას?

– გულმოწყალებას, იოსებ. და... ბოროტებისადმი წინაღუდგომლობას.

– მაშინ რა არის რევოლუცია? ბოროტება? ძალადობა? სიკეთის დაპირისპირება? თუ უბედურება? მიპასუხე, მამაო. ეს დაკითხვა კი არაა, არამედ გულღია საუბარია მოწაფესთან.

– ნუ ბრაზობ, იოსებ. რევოლუცია –ეს არის ბილიკი ბედნიერებისკენ ძალადობის გავლით. გზა კეთილდღეობისკენ –ესაა ღვთიური დრო უსასრულო გზაზე, როგორც იესო ქრისტეს გზა ადამიანებისკენ. მოკლე გზა – სისხლი, წამება...

– დროაო, ამბობ, მამაო? შენ, ალბათ, არ ხარ თანახმა, რომ ეს უსიამოვნო მოგზაურობაა მარადისობის სამყაროში. მოკვდავმა არ იცის, თუ რა არის თვით ცხოვრება, ამიტომ არ სწამს არც სიკვდილისა. ცხოვრება მოთმინებაა, თუ ადამიანის ზნეობრივი კანონები ეთანხმება საზოგადოების ზნეობრივ მაქსიმებს. თუ არა, ცხოვრება წამებად იქცევა. უნდათ კი ადამიანებს უსასრულო წამება?

– უფალი მოთმინებისკენ მოგვიწოდებს, იოსებ.

– სამწუხაროდ, ეს ყოფს ცასა და დედამიწას. მოთმინება

№188. ოთხშაბათი, 2 ოქტომბერი, 2013 წელი.

კი – გონების ძილია. ბოროტების, შიშისა და ძალადობის ძალას მიჰყავთ ისტორია რევოლუციისა და ძალადობის მეშვეობით, ბოლოს და ბოლოს, სიკეთისკენ. ამრიგად, ბოროტება სიკეთეა. ესაა დიალექტიკა. ასე არაა განა, მამაო?

– ნუ ბრაზობ, იოსებ, უფალს გაფიცებ. რევოლუცია – ეს გონების ცდუნებაა. სულის წამება. ამაოება ამაოებათა – ამაოებაა.

– ესე იგი, ცხოვრებაც – ამაოებაა? სიკეთეც ამაოებაა? მაშინ მითხარი – რა არის სიკვდილი? ყველა საწყისის დასასრული? ციფრი? დეკორაციის შეცვლა, როგორც ლევ ტოლსტოი წერდა? თუ – არაფერი? მიპასუხე, მამაო გრიგოლ, რა არის სიკვდილი?

– მიძინება... სიკვდილი არის არა ჩვენი ცხოვრების განადგურება, არამედ მიწიდან ცაზე გადასვლაა მხოლოდ, ხრწნიდან მარადიულ უკვდავებაში. ვფიქრობ, იოსებ, შენ იჟინებ უკვდავებას. მაგრამ შენ მოკვდავი ხარ. და შენთან ერთად წავა შენი ურყევი ხელისუფლება. უკვდავია მხოლოდ შენი სული. უფლის წინაშე.

– სული, სული... სამწუხაროა. უსხეულო სული უფლის წინაშე. სამწუხაროა. ვერ გავიგებ ასეთ ნეტარებას.

– შენ შენ აღარ იქნები.

– ესეც სამწუხაროა. მხოლოდ ბრძოლაში მესმის, თუ რა არის სიცოცხლე.

– ღმერთი გფარავდეს და მოგიტევოს ღმერთმა შენი დაუღლელი ბრძოლა. ნება მომეცი, გადაგწერო პირჯვარი.

– გადამწერე, მამაო გრიგოლ, მე ცოდვილს, რომ დავრჩე, როგორიც ვიყავი. სხვაგვარი მე – ჩემი გაგების გარეშეა.

– გაკურთხოს უფალმა უხვი კურთხევით, ვინაიდან უფალი არის არა მოუწყობლობის, არამედ მშვიდობის ღმერთი.

და აი, როგორ დამამახსოვრდა დიალოგი უტიფრობამდე კირკიტა სტუდენტსა და მოხუც, მრავალმხრივ გამოცდილ პროფესორს, ომისშემდგომი წლების პოლიტეკონომიის მასწავლებელს შორის:

– თქვენ, პატივცემულო პროფესორო, ბრძანეთ: სტალინი კორიფეაო. მაპატიეთ, როგორღაც არ მესმის. კორიფე –ეს არის სწორედ დიდი, ეს არის გენიოსი.

– მაშ ასე! ჩვენ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ მოვნახეთ მაღალი ეპითეტები მსოფლიო ისტორიაში ამ უდიდესი ადამიანის, პოლიტიკოსისა და მხედართმთავრის მთელი გენიალურობის განსაზღვრისთვის, ძვირფასო სტუდენტო. მასზე დაიწერება ფოლიანტები, როგორიც არ დაწერილა არც ერთ დედამიწელ ტიტანზე.

– გენიალური ბელადის მთავარი დამახასიათებელი ხასიათი სიმკაცრე იყო! ის არ ინდობდა არავის. მას ჰყავდა სისხლიანი მასწავლებლები ისტორიაში – ნერონი, კალიგულა!

– ნუ იქნებით უფრო მეტად სულელი, ვიდრე უფალმა ღმერთმა შეგქმნათ.

– შეურაცხყოფას მაყენებთ! ვინ მოგცათ ამის უფლება?

– ჩემი უფლება – დედა ისტორიაა. თქვენ შეურაცხყოფას აყენებთ სტალინს, მას კი არ შეუძლია გიპასუხოთ. დიახ, სტალინი იყო დაუნდობელი მტრებისა და ბიწიერების მიმართ, განსაკუთრებით თუ საქმე პარტიას შეეხებოდა. აი თქვენ, მოკლე, თითქმის ყოფითი ეპიზოდი, რომელიც თქვენ, ალბათ, არც იცით, მაგრამ რომელიც სტალინის არსია.

მგონი, ოცდაათ წელს სტალინი ჩავიდა თბილისში რომელიღაც გამოფენაზე. იქ მასთან მიიყვანეს ძველი ბოლშევიკი ივანიანი, და სტალინი დიდხანს ჭუტავდა მასზე თვალებს, თითქოს რაღაცას იგონებდა, შემდეგ კი მკაცრად შეეკითხა:

– თქვენ არა ხართ ის ივანიანი, ვისაც რევოლუციამდე ას ორმოცი მანეთი მიჰქონდა გადასახლებული ბოლშევიკებისთვის და არ მიუტანა, დახარჯა?

– დიახ, მე ის ივანიანი ვარ, მაგრამ მე ფული მოვიტანე, არ დამიხარჯავს.

– არ დაგიხარჯავს? გადასახლებულებს ფული არ მიუღიათ.

– მე მყავს მოწმეები, კობა.

– მოწმეები... მიჩვენეთ თქვენი პარტბილეთი, ამხანაგო ივანიანო.

ივანიანმა მიაწოდა პარტბილეთი, და სტალინმა იგი ჯიბეში ჩაიდო, არც შეუხედია მისთვის, ისე უთხრა:

– თქვენ გქონდათ პარტბილეთი, ივანიანო. ახლა უკვე აღარ გაქვთ. ახლა თქვენ უკვე აღარა ხართ პარტიის წევრი.

იყო იგი ასეთიც...

– მაგრამ მე მახსოვს სხვა რამეც, რასაც თქვენ უნდობლად აღიქვამთ. ასე თუ ისე, წარმოიდგინეთ ათას ცხრაას ორმოცდა ექვსი წელი – არის ახმატოვასა და პასტერნაკის შემოქმედებითი საღამო. როგორც კი ეს ცნობილი ადამიანები გამოვიდნენ სცენაზე, დარბაზში გაისმა ტაშის ხმა, შემდეგ იგი ოვაციაში გადაიზარდა. დიდხანს უკრავდნენ ტაშს ფეხზე ამდგრები, როგორც ჩვეულებრივად უკრავდნენ ხოლმე ტაშს სტალინის გამოჩენის დროს. როდესაც ბერიამ ამის შესახებ მოახსენა სტალინს, მან გაიცინა, ცოტა ხნით გაჩუმდა და შეეკითხა:

– ვინ მოაწყო ფეხზე ადგომა?

– ჩვენ ამას უმალვე გავარკვევთ...

– ნუ დაისჯით თავს. მკითხველები და თაყვანისმცემლები სწორად მოიქცნენ. ნიჭიერ პოეტებს პატივი უნდა მიაგო.

როგორც ხედავთ, ეშმაკ კარისკაცს მუდმივად სურდა, გამოეწვია სტალინში ნეგატიური გრძნობა და მიეღო თავისთვის ხელსაყრელი გარკვეული პოზა.

– თქვენ სტალინის შესანიშნავი ადვოკატი ხართ!

–მე ვცდილობ, ვიყო სიმართლის ადვოკატი.

– დიახ, დიახ, ეს ყველაფერი მეტად სენტიმენტალურია, პირდაპირ მეტირება. აუტანლად სენტიმენტალურია.

– რამდენადაც სენტიმენტალურია გამრავლების ტაბულა, რითაც შეუძლებელია ამოხსნა სტალინის გენიოსობის საიდუმლო, იტირეთ, რამდენიც გინდათ, ვინაიდან თქვენი ირონია – თქვენი უსუსურობაა.

* * *

– **ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲗ** –„მესაჭე, მამა, მასწავლებელი, ბელადი, კორიფე?“ და ასე შემდეგ. ვინ მოიფიქრა ეს ყოველივე? ვიღაცამ ხომ მოიგონა... თვით სტალინი ხომ არ წერდა თავისი უძილო ღამეების დროს ბრძანებულებებს ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილებაში. იყო პირფერების, მლიქვნელების, ქლესების, ბოლოს და ბოლოს, ფანატიკოსებისა და ყოველგვარი კეთილისმსურველების მთელი არმია.

– „კეთილისმსურველებისო“ თქვით?

– შეიძლება მათ სხვაგვარადაც ვუწოდოთ. ეს საქმეს არ ცვლის. გინდათ მაგალითი, რომ ყველაფერი ნათელი იყოს? კეთილი. უკვე ორმოცდათორმეტ წელს მოსკოვის ერთ-ერთი კარგი ინსტიტუტის რექტორთან მიდის მიღებაზე ერთი ჩვეულებრივი დრაფისპალტოიანი კაცი. ქუდი არ მოუხდია, ჩაჯდა სავარძელში, ამაყად დადო ხელი მაგიდაზე და თითები აათამაშა.

– პოლიტიკურ შეცდომას უშვებთ, ამხანაგო ინსტიტუტის დირექტორო. ეს რა ტრანსპარანტი გაქვთ ფრონტონზე? „დიდება დიდ სტალინს!?“ არ არის ემოციური, დუნეა. არ არის იდეოლოგიური სიახლე, ენერგია, სახალხო სიყვარული. ცუდად აკონტროლებთ მხატვრებს, პასუხი კი თქვენ მოგეთხოვებათ! აი, ასე უნდა იყოს „დიდ სტალინს დიდება!“ იმედი მაქვს, თქვენთვის ყველაფერი გასაგებია, ამხანაგო პროფესორო? ორი საათის შემდეგ შევამოწმებ.

შეშინებული რექტორი, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი, პროფესორი, წევრ-კორესპონდენტი, წამოხტა ფეხზე თავისი მოხუცებულობის სიმკვირცხლით და დაიწყო თავისი სამე-



ურნეო მუშაკის ძებნა. მოხუცს ისიც არ უკითხავს თავისი სტუმრისთვის, ვინ არის იგი, დრაფისპალტოიანი – შტატის ხელოვნების მუშაკი თუ უბრალო ერთ-ერთი ნებაყოფლობითი პიროვნება, ვინც შეეჩვია საღამოობით წეროს წერილები სერიოზულ დაწესებულებებში შთამაგონებელი სტრიქონებით: „გაცნობებთ, რომ...“

– ეშმაკმა დალახვროს, მაგრამ მან ხომ იცოდა, გრძნობდა ამ პირფერობას, ხედავდა, როგორ დახოხავდნენ მის წინაშე. წარმომიდგენია: როდესაც ღამით მოხსენებისთვის იძახებდა მინისტრებს, ისინი, რასაკვირველია, მშვიდად იყვნენ, მაგრამ მათ გასცემდა პერანგებისა და შარვლის ტოტების კანკალი. ჰა-ჰა! მისი ეშინოდათ, გუნდრუკს უკმევდნენ, თავად კი არ აქარვებდა, არ დევნიდა უსაფუძვლო მლიქვნელებს!

–არც მთლად ეგრეა საქმე. ჩემთვის ცნობილია სხვა რამეც: ბუდიონმა წარწერა გააკეთა ფოტოგრაფიაზე, რომელზეც გამოსახულები იყვნენ იგი, ბუდიონი და სტალინი სამოქალაქო ომის წლებში: „პირველი საცხენოსნო დივიზიის შემქმნელს“. სტალინს გაეცინა და თავისი ხელით მიაწერა: „პირველი საცხენოსნო დივიზიის ნამდვილ შემქმნელს“ – და დაუბრუნა ფოტოგრაფია. არა, პირფერობას ის გრძნობდა, რასაკვირველია. მას, როგორც გენიალურ ადამიანს, მხოლოდ მხრები უნდა აეჩეჩა, როდესაც ისმენდა აღფრთოვანებულ შეძახილებს, მაგრამ როგორც პოლიტიკოსი ის უკვე შეგნებულად არ აკავებდა მისადმი თითქმის რელიგიურ თაყვანისცემას. თავისი იდეების განსახორციელებლად მას სჭირდებოდა უცილობელი ავტორიტეტი ხალხში, რომელიც მის ავტორიტეტს აძლიერებდა. და ეს დაეხმარა მას გასწორებოდა თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს. სერიოზულ მოწინააღმდეგეებს, რომლებიც გამოწრთობილები იყვნენ ბრძოლის ყველა პირობებში. მეთანხმებით?

– დიახ, მაგრამ შიში მის წინაშე? მისადმი სიყვარული და შიში, თაყვანისცემა და შიში, ერთგულება და შიში... როგორღაც ერთი მეორეს გამორიცხავს! თუ ეს – რუსეთია?

– არ მინდა, დაგეთანხმოთ – თქვენ ცდებით. ნებისმიერ ქვეყანაში ერთი არ გამორიცხავს მეორეს. შიში, რომელიც დაკავშირებულია რუსეთის თავისებურებებთან, მაპატიეთ, სისულელეა, ძაღლური გაუგებრობა! ყველგან და ყოველთვის არსებობს შიში ბელადებისა და ხელისუფლების წინაშე.

– კი, მაგრამ...

„მაგრამი“ მდგომარეობს ერთ პატარა, მაგრამ სერიოზულ ისტორიაში, რომელსაც ზოგიერთი რამის ოდნავ ახსნა შეუძლია.

განსაკუთრებით მძიმე დღეებში, როდესაც გერმანელები უტევდნეენ მოსკოვს, ჟუკოვის შტაბში მივიდნენ სტალინი, მოლოტოვი და ბერია. შევიდნენ კაბინეტში, სადაც რუკაზე მუშაობდა ჟუკოვი. ბერიამ მკვეთრად ჰკითხა: „რატომ არიან გერმანელები მოსკოვთან?“ჟუკოვი გაცეცხლდა: „მე ჯერ ისევ შტაბის უფროსი ვარ და გთხოვთ ხელს ნუ მიშლით მუშაობაში! –ცოტა დუმილის შემდეგ კი დაუმატა: – გთხოვთ, გაბრძანდეთ ოთახიდან“. სტალინმა თქვა: „ეტყობა, ცუდ დროს მოვედით“. და ისინი წავიდნენ. მეორე დღეს, როდესაც სტალინს ახსენებდა ვითარების შესახებ, გენერალური შტაბის უფროსმა ჟუკოვმა ბოდიში მოიხადა უხეშობის გამო. სტალინს არაფერი უთქვამს. სხვათა შორის, სხვა მაღალი რანგის, მაგრამ წყნარ გენერლებთან სტალინი ზოგჯერ გაღიზიანებით ამბობდა ხოლმე: „თქვენ დაგვიმტკიცეთ თქვენი თვალსაზრისი. აი ჟუკოვი. ვეტყვი ორ სიტყვას, ის მე ოთხს მეუბნება“.

– ეს ხელისუფლებით კეკლუცობა ხომ არაა? ა? აიო, მე ასეთი ვარ, გულღია, არა ბოროტიო.

– გაიგეთ, როგორც გინდათ. მაგრამ ჟუკოვის დიდება ომში შეუდარებელი და უცილობელია. ჯარისკაცული და სახალხო დიდება. და აქ სტალინი განზე არ მდგარა. აქ არ ყოფილა არც ეჭვი, არც შური. იგი ამაზე მაღლა იდგა, რასაც არ უნდა წერდეს პრესა. ჩვენი საყვარელი, შესანიშნავი, მართალი – გარდაქმნისა და გარდაქმნისშემდგომი პრესა.

– თქვენ სტალინელი ხართ! ეს – საშინელებაა!..

– არა, ჩემო საყვარელო, მე არა ვარ სტალინელი, არც ხრუშჩოველი, არც ბრეჟნეველი, არც ელცინელი. მე ყველაზე რიგითი ისტორიკოსი ვარ, რომელმაც იცის, თუ რა არის ოთხმოცდათერთმეტი წლის დემოკრატია. ამიტომ არ მინდა, ვიაროთ სიცრუის, ჭორის და ექსკრემენტების მთებში, თავს რომ მოახვიეს ჩვენს ისტორიას რუსეთის მოძულეებმა.

– აღარ მინდა თქვენთან საუბარი. ეს ბნელეთის მოციქულობაა!..

– ბატონი ბრძანდებით. რაც შეეხება ბნელეთის მოციქულობას, მე ხელს ვტაცებ ჩემსკენ გადმოგდებულ ყუმბარას და ვისვრი თქვენს მხარეს, დატენილს იგივე აზრით. მაპატიეთ უპატივცემლობის გამო...

* * *

– **ᲩᲕᲔᲜ** 21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ, კაცობრიობის უმკაცრესი გახრწნილობის ასწლეულში, როდესაც ნიჭი და სიკეთე, პოლიტიკა და გონება – ყველაფერი იყიდება, როდესაც მართავენ ცრუები, პატენტიანი მოღალატეები, თუნდაც ოდნავი ჯანსაღი აზრის მტრები. და რა არის სასაცილო – ყველა გათიშულია, ყველა! და თუ გაჩნდება ახალი გოლგოთა ჭეშმარიტებისა და ძმობის სახელით, ამჟამად არ არის რუსეთში სახარებისეული უფალი და აღარავინაა ჯვარზე გასაკრავი. მაშინ შურისძიება დახოცავს ერთმანეთს.

– რა მოგდით? განა შეიძლება ასე გეზიზღებოდეს რუსეთი მისი დიდი ხალხით?

– ეს არაა ზიზღი! არა! თქვენ მოსულელო საყვედური გამოთქვით, ასე ვთქვათ. მე მეზიზღება ის რუსეთი, რომელმაც თავი გააუპატიურებინა დიდი ხალხის თვალწინ, რომელსაც ვეღარა ვცნობ. მთელი ცხოვრება სტალინის ეპოქაში გავატარე და ვიხსენებ მას, როგორც ნათელ სიზმარს, უფალს რომ ესიზმრა. უხალხოდ ეპოქა არ არსებობს, არის მხოლოდ დრო. გესმით ეს თქვენ?

– თქვენ მე გულუბრყვილო ტუჩებსველა ბიჭი გგონივართ? და ბრაზობთ ჩემზე?

– უწინარეს ყოვლისა, საკუთარ თავზე, თქვენი ნებართვით.

– და მაინც თქვენ დადებითად უყურებთ სტალინს, ვინაიდან მას თქვენთვის მხარი არ გაუკრავს მწარედ, თუმცა თქვენ, როგორც ცნობილ ადამიანს მეცნიერებაში... შეიძლებოდა უნებლიედ შეგხებოდნენ...

– კეთილია, კეთილია, მეგობარო. თქვენ, ალბათ, წარმოგიდგენიათ, რომ ბელადი საკუთარი ხელით სტაცებდა ხოლმე კისერში კამენევებსა და ზინოვიევებს და ისროდა მათ შინსახკომის სადარბაზოებში ყვირილით: „დახვრიტეთ!“არა სტალინი, არამედ ბოროტად ადუღებული ზიზღი და შური, კონტრრევოლუციური სიდამპლე ანადგურებდა ერთი-მეორეს ასობით დაბეზღებებით, რათა შეექმნა რესპრესიების ატმოსფერო და ხოცავდა ასობით ადამიანს, აყრიდა სტალინს საკუთარ ნაგავს, რომელშიც უხვად იყო ცხედრის მსუქანი მატლები. ეს დაუსრულებელი სიდამპლე ყარს დღემდე მთელ მსოფლიოში და ახრჩობს რუსეთს მიაზმებით...

* * *

**ᲛᲗᲔᲚᲘ** მეოცე საუკუნე კაცობრიობა ამცირებდა და ანადგურებდა თავის თავს ომებში, პოლიტიკაში, სიცრუეში, ანგარებაში.

ბოროტება იცვლიდა სამოსს, ფერსა და იერს, არსი კი რჩებოდა ძველი, როგორც ათასი წლის წინათ. სიკეთე ხშირად უხმაურო ნეიტრალიტეტში იმყოფებოდა და დანაშაულებრივად უმოქმედოდ იყო, თითქოს არ სურს, დაკარგოსო ენერგია ულირს ან პატარა მოწინააღმდეგეზე. როდესაც იგი, სიკეთე, იწყებდა მოქმედებას, საქმე ბოლომდე არ მიყავდა, ხშირად რჩებოდა შუა გზაზე. ამიტომ ხომ არაა, რომ ბოროტება და სიკეთე ემყარებიან ერთ საძირკველს, თუმცა მის სხვადასხვა მხარეში?

მხოლოდ ორჯერ განახორციელა სიკეთემ გლობალური გარღვევები, შეარყია დედამიწა მილიონობით ადამიანის იდეის, სიმამაცისა და რწმენის ძალით. ესენი იყო დიდი ოქტომბრის რევოლუცია და დიდი სამამულო ომი, რომლებმაც გადაწყვიტეს რუსეთის ბედიც და მსოფლიოს ბედიც. ოქტომბრის რევოლუციამ წარმოშვა მკაცრი სამართლიანობა, პატიოსნება, ჯანსაღი თანასწორობა და გონიერება ერთა ძმობის მაღალი მორალით. სამამულო ომმა დაამკვიდრა სახალხო სახელმწიფოს გამარჯვება, სიძლიერე და მნიშვნელობა, თუმცა უკვე აღარ იყო შემდეგ დედამიწაზე სტალინის ფენომენალური გენია, და უიმისოდ ზუსტად დაიმსხვრა კონტინენტის ნაწილი. და ჩვენ მაინც გამოვცადეთ მერყევი წონასწორობა, ოთხმოციან წლებამდე რომ გრძელდებოდა.

**თარგმნა**
**ზურაბ ლომიძემ**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# ბიძინა ივანიშვილმა სამშობლოსთვის ხარჯები გაიღო

## საქართველოში დიდი საინვესტიციო ფონდი შეიქმნა

**საქართველოს პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა მონაწილეობა მიიღო თანაინვესტირების ფონდის პრეზენტაციაში, რომლის შექმნის იდეაც რამდენიმე თვის წინათ წამოაყენა. თავად ბატონმა ივანიშვილმა ფონდში უკვე დააბანდა ერთი მილიარდი დოლარი საკუთარი სახსრები. ამავე დროს მასში უკვე აკუმულირებულია 6 მილიარდი დოლარი მაშინ, როდესაც საქართველოს ბიუჯეტი მიმდინარე წლისთვის 4 მილიარდზე ოდნავ მეტია. ფონდის უდიდესი პროექტი გახდება შავი ზღვის სანაპიროზე ახალი დიდი ნავსადგურის მშენებლობა.**

თანადაფინანსების ფონდის პრეზენტაცია გაიმართა თბილისში საქართველოს ბიზნესგაერთიანებათა მრავალრიცხოვანი წარმომადგენლების თანდასწრებით. **„ჩვენ ძალიან დიდხანს ვმუშაობდით ამ ფონდის შექმნაზე და, როგორც იქნა, მზად ვართ, მოვახდინოთ მისი პრეზენტაცია“**, — განაცხადა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა. მისი სიტყვებით, „ფონდი არ იმუშავებს სოციალურ პროექტებს, არამედ დააფინანსებს მხოლოდ კომერციულად ხელსაყრელ პროექტებში“. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელმა ხაზგასმით აღნიშნა: მართალია, ფონდის საქმიანობის ძირითადი პრინციპი საინვესტიციო პროექტების, მთელი რიგი საინვესტიციო ფონდების თანადაფინანსებაა, იგი ინვესტიციებს განახორციელებს დამოუკიდებელად. ერთ-ერთი ასეთი პროექტი იქნება ანაკლიაში ახალი ღრმაწყლიანი ნავსადგურის მშენებლობა, რომლის ტვირთბრუნვაც 110 მილიონ ტონას შეადგენს.

თანადაფინანსების ფონდის თავმჯდომარემ გიორგი ბაჩიაშვილმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ ფონდში უკვე აკუმულირებულია 6 მილიარდი დოლარი. მათგან ერთი მილიარდი დოლარი ბიძინა ივანიშვილის შენატანია, ვისი კაპიტალიც, „ფორბსის“ მონაცემებით, 5,3 მილიარდ დოლარს შეადგენს. დანარჩენი თანხა დააბანდეს ქართველი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის მემკვიდრეებმა, ყაზახელმა მილიარდერმა ალექსანდრ მაშკევიჩმა, აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობის ფონდმა და მთელმა რიგმა კომპანიებმა.




### რა იწვევს საქართველოში ინვესტორების განგაშს

მედია-ჰოლდინგ „ტაბულას“ ხელმძღვანელმა თამარ ჩერგოლეიშვილმა 9 სექტემბერს განაცხადა, რომ იანვრიდან მაისამდე ეკონომიკის ზრდამ 2,3 პროცენტი შეადგინა, მაისში კი სულაც ნული იყო (საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის უკანასკნელი მონაცემებით, ეკონომიკის ზრდამ 2013 წლის იანვრიდან ივლისამდე 1,7 პროცენტი შეადგინა), და რომ ინვესტორების ინტერესების დაცემა საქართველოში დაკავშირებულია, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკურ არასტაბილურობასთან: „არაერთმნიშვნელოვანი დაპირება „სამართლიანობის აღდგენის შესახებ“, სასამართლოები ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ბიზნესმენებზე, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ წინა ხელისუფლებასთან, იწვევს ინვესტორებისა და ადგილობრივი მეწარმეების განგაშს — მათ ეშინიათ, რომ შეიძლება აღმოჩნდნენ დიდ ზარალში“.

**Коммерсант**

---

რაც უნდა მოხდეს ამ ქვეყნის პრეზიდენტის არჩევნებზე 27 ოქტომბერს, ერთი რამ უეჭველია: პოლიტიკური ლანდშაფტი შეიცვლება მას შემდეგ, რაც ორი დაპირისპირებული პერსონა, რომლებიც ამჟამად აყალიბებენ ამ ლანდშაფტს, მთავრობას დატოვებს.

თანამდებობიდან მიმავალი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ამბობს, რომ ქვეყნის ღვინის ინდუსტრიის პოპულარიზაციას აპირებს. მისმა სასტიკმა მტერმა, პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა კი პირობა დადო, რომ წავა თანამდებობიდან პოსტზე მოსვლიდან სულ რაღაც 1 წელიწადში, მას შემდეგ, რაც მიაღწევს დასახულ მიზანს, ანუ ხელისუფლებიდან გააძევებს სააკაშვილის პარტიას. პრეზიდენტი ქვეყანას ათი წლის განმავლობაში აკონტროლებდა. მან კოლუმბიის უნივერსიტეტში მიიღო იურისტის განათლება და ხელისუფლებაში მოვიდა 2003 წელს „ვარდების რევოლუციით“, რომელშიც კორუმპირებული ექსსაბჭოთა რეჟიმი დაამხო. მართალია, მისი მმართველობისას ბევრი წარმატებული რეფორმა განხორციელდა, მაგრამ ოპონენტები მას იმაში სდებენ ბრალს, რომ მისმა მმართველმა ელიტამ ძალაუფლების მონოპოლიზება მოახდინა, გათელა კანონიერება და, ამასთანავე, ცხოვრების პირობები ვერ გააუმჯობესა.

კარჩაკეტილი მილიარდერი-ქველმოქმედი ივანიშვილი, რომელმაც ქონება რუსეთში დააგროვა, ჩრდილიდან 2011 წელს გამოვიდა, რათა სათავეში ჩადგომოდა ოპოზიციურ მოძრაობას, რომელიც სააკაშვილს უპირისპირდებოდა. მისმა კოალიციამ შარშან არჩევნებში გაიმარჯვა.

ორი ლიდერის საჯარო დაპირისპირებამ, რაც დომინირებდა კიდეც გასული წლის ჰედლაინებში, ქვეყნის სტაბილურობის გამო შეშფოთება წარმოშვა. მაგრამ შეშფოთება იმის გამო, თუ ვინ ამოავსებს სიცარიელეს მას შემდეგ, რაც ორივე ლიდერი წავა, კიდევ უფრო მეტ კითხვას ბადებს სამომავლო პერსპექტივებზე.

ბევრი შიშობს, რომ ივანიშვილი აპირებს თავისი სიმდიდრითა და გავლენით ისევ მართოს ქვეყანა, მაგრამ ახლა უკვე კულუარებიდან და ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე.

ამ ბოლო დროს მოწყობილი გამოკითხვის თანახმად, რესპონდენტთა 70 პროცენტი არ ეთანხმება ივანიშვილის წასვლას პოლიტიკიდან. მხოლოდ 39 პროცენტს მიაჩნია, რომ საქართველო სწორი მიმართულებით მიდის. მარტში ეს მაჩვენებელი 58 პროცენტს შეადგენდა.

ზოგიერთი ოპონენტი ძირითადად 6-მილიარდიანი კერძო ინვესტიციების იმ ფონდზე შფოთავს, რომელსაც თანაინვესტირების ფონდი უწოდეს (GCF) და რომელიც იმიტომ შეიქმნა, რომ ქვეყნის განვითარების პროექტები დააფინანსოს.

ფონდს ზურგს უმაგრებენ ინვესტორები სპარსეთის ყურიდან და კასპიის ზღვიდან, 1 მილიარდი დოლარი თავად პრემიერ-მინისტრისაა, ამიტომ ფონდის რესურსები სამთავრობო ბიუჯეტს ჩრდილავს და დაახლოებით საქართველოს მშპ-ის 40 პროცენტს შეადგენს.

არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საქმიანი წრეების წარმომადგენლებს კითხვები გაუჩნდათ ფონდის მთავარ ინვესტორებზე, რომელთაგანაც ბევრს, გამჭვირვალობის

## საქართველო არჩევნებისთვის ემზადება და იმაზე წუხს, თუ რა იქნება არჩევნების შემდეგ

**მწვავე დაპირისპირება ქვეყნის ლიდერებს შორის ცხრება და იდუმალებით მოცული თანაინვესტირების ფონდი სამომავლოდ კითხვებს აჩენს**

კონტექსტში, ცუდი რეპუტაცია აქვს. ზოგიერთს მიაჩნია, რომ ფულის შედარებით დიდი მასა ივანიშვილს ქვეყნის ეკონომიკის დიდი ნაწილის მონოპოლიზების საშუალებას მისცემს და, ამავე დროს, ის ფარულად შეინარჩუნებს გავლენას პოლიტიკაზეც.

„ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ქართული ეკონომიკა დროის მცირე მონაკვეთში შეიწოვს ფულის დიდ მასას“, განაცხადა გამოცდილმა უცხოელმა ბიზნესმენმა, რომელიც საქართველოში ცხოვრობს და რომელმაც, მთავრობის მხრიდან შურისძიების შიშით, ანონიმურობის დაცვა მოგვთხოვა. „ფულის ასეთი დიდი მასა თავის თავში სხვა ინვესტორების გაძევების რისკს შეიცავს“.

ფონდის ხელმძღვანელი ამ მოსაზრებას — არ ეთანხმება. ივანიშვილის ძველი თანამშრომელი გიორგი ბაჩიაშვილი ამბობს, რომ პრემიერ-მინისტრი ჩამოშორდება პოლიტიკას, რათა ქვეყანას მდგრადი პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნის საშუალება მისცეს, ისეთი ინსტიტუტებისა, რომლებიც არ არიან დამოკიდებული კონკრეტულ ლიდერებზე.

ფონდი გამჭვირვალობის მაღალ სტანდარტებს დაიცავს და თავისი ფინანსური ინფორმაციის უდიდეს ნაწილს ქსელში გამოაქვეყნებს.

როგორც უნდა იყოს საქმე, საქართველო ნამდვილად შეძლებს ფულის გამოყენებას. ერთ სულ მოსახლეზე აქ მშპ 3,508 დოლარს შეადგენს, ამიტომ მას მუდმივად მიაკუთვნებენ ევროპის ულარიბეს ქვეყნებს. მსოფლიო ბანკის 2012 წლის რეიტინგში მან ოდნავ გაუსწრო კოსოვოს, სომხეთსა და მოლდოვას.

მაგრამ ეს მაჩვენებლებიც კი ნიღბავენ სიღარიბის ინტენსივობას საქართველოში, რადგან ისინი ვერ გამოხატავენ ეკონომიკური უთანასწორობის ხარისხს. „საქართველოში ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანას შორის ყველაზე ნაკლებადაა თანასწორობა“, ამბობს ლაშა ლაბაძე, თბილისის საერთაშორისო ეკონომიკის სკოლის უფროსი მკვლევარი. საქართველოს, რომლის საბჭოური საწარმოო ბაზა 1990-იან წლებში განადგურდა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სექტორი განუვითარებელი და არაეფექტიანია, ეკონომიკის განვითარებისათვის ძალიან სჭირდება ინვესტიციები გარედან. ქართველები უმუშევრობას თავიანთ მთავარ პრობლემად აცხადებენ და გამოკითხულთა 46-მა პროცენტმა ინტერვიუერებს უთხრა, რომ თავს „უმუშევრად განიხილავენ და სამუშაოს ეძებენ“.

ევა-მარია ანდერსონი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ წამყვანი მკვლევარი ამბობს, რომ საჯარო და კერძო ფონდების მეშვეობით უცხოური კაპიტალის მოზიდვის ადრინდელი მცდელობები მარცხით დასრულდა და ზოგ შემთხვევაში ვითარება გაუარესდა კიდეც.

2011 წელს, იმჟამინდელმა, სააკაშვილის მომხრე მთავრობამ დააფუძნა პარტნიორობის ფონდი, რომლის მიზანი იყო, სახელმწიფო საწარმოების დივიდენდების გამოყენება კერძო ინვესტორებთან ერთობლივი წამოწყებებისთვის, რასაც უნდა შეემცირებინა კაპიტალური რისკი დეველოპერული პროექტებისთვის. მაგრამ ამის ნაცვლად, ამბობს ანდერსონი, პოტენციური პარტნიორები გაიქცნენ ფონდის გამჭვირვალობის დეფიციტის გამო. რამდენიმე შემთხვევაში, კერძო ინვესტორებმა უარი თქვეს თავიანთ პროექტებზე საქართველოში და არ გაუწიეს კონკურენცია ბუნდოვან წარმონაქმნებს, რომლებსაც მხარს სახელმწიფო უჭერდა. საბოლოოდ, ფონდმა საერთოდ ვერ მოიზიდა უცხოური ინვესტიციები და, პირიქით, პოლიტიკური პროექტების ყულაბად იქცა, ამბობს ის.

ამ პროექტთაგან ბევრი, ახლა სამართლებრივ დავებშია ჩაფლული და ისინი, ვინც ჩივიან, ამტკიცებენ, რომ მთავრობამ მათ უკანონოდ წაართვა მიწები მშენებლობისთვის.

საერთაშორისო საზოგადოებამ ივანიშვილის ბევრი მოქმედების გამო გამოთქვა შეშფოთება, მათ შორის იმის გამოც, რომ სააკაშვილის პარტიის ბევრ მაღალჩინოსანს, ამჟამად ოპოზიციონერს, ბრალდებები წაუყენეს.

ბევრი იმაზე წუხს, რომ ახალი მთავრობა პოსტსააკაშვილის ეპოქაში ყველაფერს ახალ ელიტას გადააბარებს.

**ნიკოლას კლეიტონი,**
„globalpost.com“

## დედამიწის ზურგზე



**ისრაელი განიცდის აშშ-სა და ირანს შორის ურთიერთობათა დათბობის გამო**

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ირანს შორის შემჩნეულმა ურთიერთობათა გაუმჯობესებამ და ამასთან დაკავშირებით იმ სანქციების გაუქმების ალბათობამ, რომლებიც შემოიღეს ამერიკელებმა ისლამის რესპუბლიკის წინააღმდეგ, სერიოზულად შეაშფოთეს ისრაელი. ვაშინგტონის ახლო აღმოსავლეთის მთავარი პარტნიორის წარმომადგენლები ცდილობენ, დაარწმუნონ ოკეანისგაღმელი მეგობრები თეირანთან შემწყნარებლობის არასასურველობის შესახებ.

* * *

**ბრაზილიაში ორი ქალიშვილი რელიგიურ კრებაზე კოცნის გამო რიკულებს მიღმა აღმოჩნდა**



კონგრესმენმა და პასტორმა მარკო ფელისიანომ შეაჩერა თავისი გამოსვლა მას შემდეგ, რაც დაინახა, თუ როგორ კოცნიდნენ ერთმანეთს ჯუანა პარალესი და იუნტა მიხურა. მან სთხოვა მცველებსა და სამხედროებს, რომლებიც კრებას ესწრებოდნენ, დაეპატიმრებინათ წყვილი, თან განაცხადა, რომ ისინი უნდა წავიდნენ ღონისძიებიდან ხელბორკილებით. ქალიშვილები დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს.

* * *

**გადადგა ორი ამერიკელი გენერალი თალიბების იმ ბაზაზე თავდასხმის გამო, სადაც პრინცი ჰარი მსახურობდა**



სწორედ იგი იყო შეტევის მთავარი მიზანი, როგორც ამის შესახებ განაცხადა ერთ-ერთმა საველე მეთაურმა. სამხედრო გამომძიებლები მივიდნენ დასკვნამდე, რომ გენერალ-მაიორმა ჩარლზ გურგანუმ და გენერალ-მაიორმა გრეგ სტერდევანტმა „არ მიიღეს ადეკვატური ზომები ჯარების დაცვისთვის“ ტერორისტების თავდასხმისგან.

* * *

**აშშ კონგრესმენებმა ვერ გამონახეს კომპრომისი კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელიც აჩერებდა მთავრობის მუშაობას**

ეს ნიშნავს, რომ შეჩერდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მუშაობა 2014 საფინანსო წლისთვის ფედერალური ბიუჯეტის მიუღებლობის გამო და ეს ღონისძიება სულ უფრო და უფრო რეალური ხდება. შეგახსენებთ, რომ 2014 წლის საფინანსო წელი აქ 1 ოქტომბერს იწყება. ამ ფონზე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ აჩვენა: ამერიკელების მხოლოდ 10 პროცენტი იწონებს კონგრესის მუშაობას.



◉ მონოპოლიზაცია ნაცურად



# საკუთარ თავსა და ახლობლებს ხომ არ გააკონტროლებდნენ?

**„ნაცმოძების“ მხრიდან ხელისუფლების სრული მონოპოლიზების პირობებში, მათ ლიდერებს თავიანთი მსახვრალი ხელი ჰქონდათ დადებული ყველა სფეროზე. სრულად აკონტროლებდნენ საბაჟოებს, აქედან გამომდინარე, შემოტანილ ტვირთებს.** მათი თითქმის 100 პროცენტი ან „ნაცების“ ელიტის წარმომადგენელთა წილი იყო, ან მათთან დაახლოებულ პირთა ბიზნესი. ასეთ ვითარებაში საჭირო აღარ იყო კონტროლის რაიმე მექანიზმის არსებობა შემოტანილი პროდუქციის ხარისხიანობაზე. საკუთარ თავს ხომ არ გააკონტროლებდნენ, ან დააჯარიმებდნენ, თორემ „თეთრ ყორანს“ იმხელა ჯარიმებსა და საურავებს აკიდებდნენ, ნაცებისთვის უცხო, მიუღებელი კაცი იძულებული ხდებოდა, ბიზნესი გაეჩერებინა, ან საერთოდ ხელი აეღო საქმიანობაზე. — გვეუბნებიან სპეციალისტები.

**ერთ-ერთი ასეთი სფეროა ქვეყანაში უხარისხო ბიტუმის თავისუფალი შემოდინება. ბიტუმის იმპორტი ქვეყანაში ირანიდან ხდებოდა. შემოდიოდა, როგორც ხარისხიანი, ასევე უხარისხო პროდუქცია, მაგრამ მისი გაკონტროლება არ ხდებოდა.** — ამბობს დარგის სპეციალისტი შალვა ქართველიშვილი. მისივე თქმით, **წინა ხელისუფლება მუდამ ახსენებს და გვაყვედრის კიდეც, თავის დაგებულ გზებს** (რა, საკუთარი ჯიბიდან ამოიღეს თუ როგორ? — ზ. ბ.), მაგრამ ეს გზები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებენ — გვიხსნის დარგის სპეციალისტი და აკონკრეტებს — **ბევრ მონაკვეთზე ასფალტი რამდენიმე თვეში ფუჭდება, რადგანაც საგზაო ბიტუმზე ლაბორატორიული კვლევები საერთოდ არ ტარდებოდა.**

ქართველიშვილი თვლის, რომ წინა ხელისუფლების მხრიდან ხელოვნურად მოშლილი კონტროლის მექანიზმი და განუკითხაობა ესტაფეტით გადაეცა ახალ ხელისუფლებასაც. მაგრამ რამდენიმეგზის ასფალტის აყრამ და პროფესიონალთა მწვავე განცხადებებმა, ხელისუფლება შემოსული ბიტუმის ვარგისიანობის განსაზღვარაზე ჩააფიქრა.

ივლისში ფინანსთა მინისტრმა ცვლილებები შეიტანა სააკაშვილისდროინდელი მისი კოლეგის 290 ბრძანებაში **„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.** ამით წერტილი დაესვა კანონიერ უკანონობას კონტროლის სახელმწიფო დონეზე იგნორირებას.

ამჟამინდელი ფინანსთა მინისტრის დადგენილებით ნებისმიერი ბიტუმის შემომტანი კომპანია ვალდებულია, მის პროდუქციას ჩაუტაროს ლაბორატორიული კვლევა. თუ აღმოჩნდა, რომ ხარისხი სერთიფიკატს არ აკმაყოფილებს, ტვირთის განბაჟება არ მოხდება.

დადგენილებამ შედეგი უმალვე გამოიღო. ვალეს საბაჟოზე შემოვიდა ბიტუმის დიდი პარტია (92840 კგ). მისი ლაბორატორიული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ პროდუქცია სერთიფიკატს არ შეესაბამება და მოხდა მისი ექსპორტიორი ქვეყნისათვის სრულად დაბრუნება. აღნიშნულ პრინციპულ მიდგომას მიესალმებოდა როგორც ნავთობიმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე **ვანო მთვრალაშვილი,** ასევე კეთილსინდისიერი იმპორტიორები. მათი აზრის ეს სიგნალი იქნება მეწარმეთათვის, რათა საკუთარი საქმიანობის გადაფასება მოახდინონ.

ჩვენი ინტერვიუერი თვლის, რომ ბევრი მეწარმე (ამ შემთხვევაში ბიტუმის იმპორტიორი) სააკაშვილის ხელისუფლებისგან შეჩვეული სასათბურე პირობებსა და ხელშეუხებლობას არიან შეჩვეულნი და მაშინდელი მეთოდებით მუშაობენ. მათ კარგად იციან რა ხარისხის საქონელი შემოაქვთ, მაგრამ ამას ნაჩვევნი არიან და სხვაგვარად არ ძალუძთ, გვიხსნის დარგის სპეციალისტი ქართველიშვილი.

ბიტუმის ხარისხზე კონტროლის გამკაცრებას მიესალმება ა/ო **„ფასტ პლუს ერთის“** დირექტორი **ნაზი ალასანია.** მისი აზრით **კონტროლი უფრო ადრე უნდა დაწესებულიყო, რადგანაც ჩვენი ბაზარი უკვე გაჯერებულია უხარისხო ბიტუმით, იგი რეკომენდაციას აძლევს მთავრობას, დაასახელოს ის კომპანიები, რომლებიც უხარისხო საქონლის შემოტანის მცდელობისას გამოვლინდნენ.** ალასანიასვე აზრით ხარისხის ლაბორატორიული გაკონტროლება მოაწესრიგებდა ფასთა სხვაობასაც. რადგანაც უმაღლესი, საშუალო, დაბალი და უხარისხო ბიტუმი ფაქტობრივად ერთ ფასში (რასაკვირველია უმაღლესი ხარისხით) იყიდება.

## იგივე და უფრო უარესი

**ანალოგიური სიტუაცია იყო შექმნილი ავტომანქანების საცხებ-საპოხი მასალების მიწოდებისა და მათი ხარისხის გაკონტროლების კუთხითაც. მოწოდება-შესყიდვა-გასაღება, ყველა ამ სფეროში „ნაცების“ მაღალი ეშელონები მათთან დაახლოებული ბიზნესმენები დომინირებდნენ. როგორც ყველგან, აქაც უცხო პირის ბაზარზე შეღწევა წარმოუდგენელი იყო.**

ერთი პოლიტიკური ძალის ბიზნესის ნებისმიერი სფეროს ლობირება აუცილებლად წარმოშობს უკონტროლობასა და განუკითხაობას, კონკურენციის არარსებობას. ამის გამო პრაქტიკულად არ ტარდებოდა ტენდერები საცხებ-საპოხი მასალების შესყიდვაზე (ან ვისთვის ჩაეტარებინათ — მონაწილენი ხომ ნაცების ხელდასხმულნი იქნებოდნენ). ხარისხის დასადგენად, მყიდველისთვის საერთოდ არ ეთითებოდა კლასიფიკაცია. ხოლო თუ ასეთი აღმოჩნდებოდა, არ ხდებოდა მინიჭების სინამდვილის დადგენა.

დროის შეცვლასთან ერთად შეიცვალა მოთხოვნებიც. მათ საფუძველზე ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირმა გასცა რეკომენდაციები საცხებ-საპოხი მასალების გაკონტროლების თაობაზე. კავშირის თავმჯდომარე ყოველივეს ხსნის იმით, რომ დაცული იყოს როგორც ავტომფლობელების, ასევე სახელმწიფოს ინტერესებიც.

ქვეყანაში სულ უფრო იზრდება სატრანსპორტო პარკი. ხდება მისი წლოვანებით განახლება. ექსპორტიორთა კავშირს მიაჩნია, რომ ავტოტრანსპორტის გამართულად მუშაობისა და ექსპლუატაციის გახანგრძლივების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ზეთს. მისი ერთ-ერთი მსხვილი შემსყიდველია, სახელმწიფო თავისი საჯარო სტრუქტურებით. სწორედ მას ხელეწიფება, გამოაცხადოს შესყიდვაზე ტენდერები და ამავდროულად აკონტროლოს მათი ხარისხი, მოითხოვოს სერთიფიკატი. რასაც თან უნდა ახლდეს მათი სინამდვილის გადამოწმება.

„ნაციონალებმა“ თავის დროზე ეს სფერო ისე მიუშვეს, ხოლო ზეთის ბიზნესში ჩართულნი ხელშეუხებლობამ ისე გაათავხედა, რომ ხშირად ავტომანქანიდან ჩამოსხმულ ძველ, გამონაცვალ ზეთს ახალ მყიდველს სთავაზობდნენ უფრო დაბალ ფასებში.

უცხოეთში ამის პრაქტიკა არსებობს, გვიხსნიან სპეციალისტები, მაგრამ იქ ხდება გამონაცვალის ქარხნული წესით გადამუშავება, გარკვეული კომპონენტების დამატება და მხოლოდ ამის შემდეგ ბაზარზე გატანა.

ექსპორტიორთა კავშირში აცხადებენ, რომ ზეთის მიმწოდებელს კანონით უნდა ჰქონდეს ვალდებულება მისი პროდუქციის ხარისხიანობაზე. ამ შემთხვევაში შემსყიდველის ინტერესები დაცული იქნება. ხოლო დაბალი ხარისხის (შეიძლება გამონაცვალისაც) პროდუქციის მფლობელი, რომელიც ტენდერზე დაბალ ფასებს წარადგენს, შეიზღუდება. ხოლო კეთილსინდისიერი, ხარისხიანი პროდუქციის მიმწოდებლის მარჟა მაღლა აიწევს.

მოკლედ, ამ სფეროში ისევე როგორც ბევრ სხვაში, ხელისუფლებას თითქმის ყველაფერი თავიდან აქვს დასაწყები.

**ზაზა ბილიხოძე**

◉ ალიან-ჩალიანი

# უგულავამ საკრებულოს სხდომაზე დასწრება იკადრა

**ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეების წახალისება საკრებულოს მიერ დადგენილი წესით გაგრძელდება, — ამის შესახებ თბილისის საკრებულოს ფრაქცია „დედაქალაქის“ წევრმა მამუკა კაციტაძემ გუშინ ფრაქციის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.**

**ფრაქციის სხდომაზე, სხვა საკითხებთან ერთად, ძირითადად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებში შექმნილ ვითარებაზე იმსჯელეს. სხდომას ფრაქციის მიწვევით დედაქალაქის მერი გიგი უგულავა ესწრებოდა.**

**— ქალაქის მერის საკრებულოში მოსვლა აღქმული არ უნდა იყოს, როგორც მოვლენა. ეს არის ჩვეულებრივი ამბავი. ასე თანამშრომლობენ თვითმმართველობის ორგანოები მთელ მსოფლიოში და „დედა, რა ვნახე, — ასე არ უნდა იყოს დღევანდელი დღე ჩათვლილი არავის მიერ, — განაცხადა მამუკა კაციტაძემ.**

**მისივე თქმით, შეხვედრამ გამოაჩინა, რომ საბიუჯეტო ცვლილებების დროს, მერიის ხელმძღვანელობასა და გამგებლებს შორის ან არ არსებობდა, ან ცუდი კომუნიკაცია იყო. კაციტაძის განცხადებით, მერიას თავის სტრუქტურებში აშკარად კომუნიკაციების პრობლემა აქვს. რაც შეეხება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეების წახალისების წესს, ფრაქცია „დედაქალაქის“ წევრის ინფორმაციით, წახალისება საკრებულოს მიერ დადგენილი წესით გაგრძელდება.**

**მისივე თქმით, შეხვედრაზე მსჯელობა ასევე შეეხო ავარიულ სახლებსა და კაპიტალურ გამაგრებებს. კაციტაძის მტკიცებით, მერიას აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული პოზიცია არ აქვს და მათ მიდგომების ჩამოსაყალიბებლად გარკვეული დრო ითხოვეს.**

**ამასთან, კაციტაძის ინფორმაციით, ფრაქციამ სიღარიბის ზღვარს ქვევით თანამოქალაქეებისათვის სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობისას მერიის მიერ გაუქმებული 50%-იანი შეღავათის აღდგენა მოითხოვა. მისივე თქმით, მერიამ დაადასტურა, რომ შეღავათის აღდგენის სურვილი მათაც აქვთ და საკითხთან დაკავშირებით ფორმულაზე მუშაობენ.**

**ინტერპრესი**

◉ ოკუპანტის სახე

# „რუსეთს გონებით ვერ განსჯი!..“

## რუსი სამხედროები ნაცისტური გერმანიის იდეოლოგიის გამტარებლებად წარმოჩინდნენ



**„ეს ფოტოები აჩვენებს, რა ღირებულებების დასაცავად შევიდა რუსეთი სამხრეთ ოსეთში“,** — ასე უპასუხა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა for.ge-ს კითხვას, სააგენტოს „ნიუპოსტის“ მიერ დღეს გავრცელებულ ფოტოებს, რომელიც ცხინვალის რეგიონშია გადაღებული. ერთ-ერთ ფოტოზე რუსი სამხედროა აღბეჭდილი, რომელსაც ჩაფხუტი ახურავს და ადოლფ ჰიტლერის მსგავსი ულვაშები აქვს დახატული. ფოტოების ნაწილი ოკუპირებული აფახაზეთის ტერიტორიაზეა გადაღებული, მეორე ნაწილი კი „სამხრეთ ოსეთში“. **ცხინვალის რეგიონში გადაღებულ ერთ-ერთ ფოტოზე რუსი სამხედროა აღბეჭდილი, სადაც მას „SS“ — წარწერიანი ჩაფხუტი ახურავს და ჰიტლერის პაროდირებას აკეთებს.**

ამ სურათებიდან ჩანს, რომ რუსი სამხედროები 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის დროს დანგრეული ქართველების სახლების აივნებზე ფოტოობიექტივის წინ პოზირებენ, ქართული სოფლების მიტოვებულ ვენახებსა და ხეხილის ბაღებში მოწეულ მოსავალს აგემოვნებენ და მიტოვებულ საფლავებზე სანგრებს თხრიან. მეტიც, ისინი ქართული წარწერების მქონე საფლავებთან სამახსოვრო ფოტოს გადაღებასაც აუცილებლად მიიჩნევენ.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი ამბობს, რომ ეს ფოტოები კიდევ ერთხელ აჩვენებს, რა ღირებულებების ადამიანები მსახურობენ რუსეთის ჯარებში, რა ღირებულებების დასაცავად შევიდა რუსეთი სამხრეთ ოსეთში და „იცავს“ თითქოსდა, ქართული აგრესიისგან.

მისივე თქმით, რუსი სამხედროები საკუთარ თავს წარმოაჩენენ ნაცისტური გერმანიის იდეოლოგიის გამტარებლებად, არ ერიდებათ სადამსჯელო რაზმების — „SS“-ის ჩაფხუტის თავზე დაფარება და ჰიტლერის სახის მიღება.

**„ასე პოზირებენ „რუსეთ-სამხრეთ ოსეთის თანამშრომლობის“ ამსახველ სტენდთან. მიმაჩნია, რომ ცივილიზებულმა სამყარომ კიდევ ერთხელ უნდა დაინახოს, რა ღირებულებების გამო განახორციელა რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და რა ფასეულობებით ეწინააღმდეგება ის საქართველოს დასავლურ ორიენტაციას.**

**ამის მაგალითია არა მხოლოდ ნაცისტური გერმანიის მიმართ სიმპატიების დადასტურება, არამედ საქართველოს ორიენტაციის უარყოფითად გაიგივება ამერიკულ და დასავლურ მიმართულებასთან, რაც ასევეა ასახული ერთ-ერთ ფოტოზე“,** — განაცხადა for.ge-სთან საუბრისას პაატა ზაქარეიშვილმა.

**თამთა ქარჩავა**

ჭადრაკი

# ქულის ფასი



**ფიდეს მოჭადრაკე ქალთა 2013-2014 წლების გრან პრის გათამაშება ექვსი ეტაპისგან შედგება. მესამე რაუნდს ამ დღეებში ტაშკენტმა უმასპინძლა. უზბეკეთის დედაქალაქში საპრიზო ადგილებისთვის იბრძოდა ქართველი დიდოსტატი ბელა ხოტენაშვილი. ასპარეზობის ბოლო ტურში მან მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ანტოანეტა სტეფანოვა დაამარცხა, შეჯიბრების ერთპიროვნულმა ლიდერმა ჰამფი კონერუმ (ინდოეთი) შავი ფიგურებით რუს ოლგა გირიასთან ქულა გაიყო და პირველობასთან ერთად 160 ქულაც გაინაღდა, ბელას მეორე ადგილი და 130 ქულა ერგო.**

ტურის დანარჩენი ორთაბრძოლები ასე დასრულდა: ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი) — ელინა დანიელიანი (სომხეთი) 0,5:0,5, ნაფისა მუმინოვა (უზბეკეთი) - ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) 0:1, ჟაო სიუ (ჩინეთი) - ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი) 1:0, გულისხან ნახბაიევა (ყაზახეთი) — კატერინა ლაგნო (უკრაინა) 0:1.

**მესამე რაუნდში საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა:** ჰამფი კონერუ — 8, ბელა ხოტენაშვილი — 7, ჰარიკა დრონავალი, ჟაო სიუ — 6,5-6,5, ცზიუ ვენძიუნი — 6, ალექსანდრა კოსტენიუკი, ოლგა გირია — 5,5-5,5, ელინა დანიელიანი — 5, ანტოანეტა სტეფანოვა - 4,5, ნაფისა მუმინოვა — 3, გულისხან ნახბაიევა — 1,5 ქულა.

გრან პრის გათამაშების სამი ეტაპის შემდეგ 320 ქულით კონერუ დაწინაურდა. 300 ქულით მეორეზე აქაც ხოტენაშვილია, მესამე-მეოთხე ადგილებს ანა მუზიჩუკი (250 ქულა) და ნანა ძაგნიძე (220) იყოფენ.

ფიდეს ქალთა გრან პრის დანარჩენი სამი ეტაპი 2014 წელს ხანტი-მანსიისკში (რუსეთი), თბილისსა (საქართველო) და ერდენეტში (მონგოლეთი) გაიმართება.

**გივი გაგუა**

რაგბი

# დაუმარცხებელი არავინ დარჩა

**საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ჩემპიონატში მე-4 ტურის შეხვედრები გაიმართა. „შევარდენზე“ ერთმანეთს „არმაზი“ და „ყოჩები“ დაუპირისპირდნენ. ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს ზუსტი საჯარიმო დარტყმით, რასაც მალევე ხუციშვილის ლელო მოჰყვა და ბოლნისის „ყოჩები“ 5:3 დაწინაურდნენ. პირველი ტაიმის ბოლომდე „არმაზმა“ ლელოც გაიტანა და კიკნაძემ უნაკლოდაც გარდასახა. შესვენების შემდეგ მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, თუმცა „არმაზის“ შეტევები უფრო შედეგიანი აღმოჩნდა და მასპინძლებმა 23:17 გაიმარჯვეს.**

დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა გასული სეზონის „აღმოჩენად“ მონათლული „ჯიქებისა“ და გათამაშების ერთ-ერთი ლიდერის — ქუთაისის „აიას“ პაექრობა. სტუმარ-მასპინძლები ამ მატჩს დანაკლისით შეხვდნენ — რიონისპირელებმა ტრავმების გამო თორნიკე ძაგნიძე და დავით ლოსაბერიძე მოისაკლისეს, ხოლო „ჯიქებს“ შვიდკაცა ნაკრებიდან რამაზ ხარაზიშვილი და დიმიტრი კალანდაძე დაშავებულები დაუბრუნდნენ. ყოველივეს მიუხედავად, ორთაბრძოლამ მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. პირველი ტაიმი „ჯიქებმა“ მოიგო 6:5, თუმცა შესვენების შემდეგ „აიამ“ იძალა და მეტოქე ორი ქულის უპირატესობით (15:13) დაამარცხა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ორივე გუნდში დისციპლინა მოიკოჭლებდა, რამაც მატჩის მსვლელობისას ჯერ გაწევ-გამოწევა, ხოლო შემდეგ სამწუთიანი გუნდური ჩხუბიც გამოიწვია. მთავარმა მსაჯმა ექვსი მორაგბე ყვითელი ბარათებით დასაჯა.

ეროვნული ჩემპიონატის მე-4 ტურამდე შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი „არმია“ დაუმარცხებლად მიიწევდა წინ, მაგრამ მას „ლოკომოტივი“ გადაეღობა. თამაშმა გვიჩვენა, რომ წინა ტურში რკინიგზელთა გამარჯვება ქუთაისში შემთხვევითი არ ყოფილა. არადა, წლეულს „ლოკომოტივი“ წამყვანმა მოთამაშეებმა დატოვეს. ამის მიუხედავად, თემურ ბენდიაშვილმა მაინც მოახერხა ერთ მუშტად შეკრული კოლექტივი გამოეყვანა ჩემპიონატში. მართალია, ანგარიში არმიელებმა გახსნეს, მაგრამ რკინიგზელებმა პირველი ტაიმის მიწურულს 12-ქულიანი უპირატესობით დაწინაურება შეძლეს და მეორე ტაიმში მატჩი სასურველ დასასრულამდეც მიიყვანეს — ვიცე-ჩემპიონებს პირველი მარცხი აგემეს 27:15.



„ლელომ“ ბათუმში მასპინძლებს სძლია — 28:3 და 15 ქულით დაწინაურდა. „ხარებისა“ და „აკადემიის“ მატჩი გადაიდო.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. „ლელო“ | 4 | 3 | 0 | 1 | +63 | 15 |
| 2. „არმაზი“ | 4 | 3 | 0 | 1 | +40 | 14 |
| 3. „აია“ | 4 | 3 | 0 | 1 | +13 | 14 |
| 4. „ლოკომ.“ | 4 | 3 | 0 | 1 | +3 | 12 |
| 5. „ყოჩები“ | 4 | 2 | 1 | 1 | +20 | 11 |
| 6. „არმია“ | 3 | 2 | 0 | 1 | +27 | 9 |
| 7. „ჯიქები“ | 4 | 1 | 1 | 2 | -2 | 8 |
| 8. „ხარები“ | 3 | 0 | 0 | 3 | -53 | 1 |
| 9. „აკადემია“ | 3 | 0 | 0 | 3 | -55 | 1 |
| 10. „ბათუმი“ | 3 | 0 | 0 | 3 | -56 | 0 |

**V ტური:** „ყოჩები“ — „ხარები“, „აია“ — „არმაზი“, „არმია“ — „ჯიქები“, „ლელო“ — „ლოკომოტივი“, „აკადემია“ — „ბათუმი“.

**ლექსო ცინცაძე**

კარატე

# რეგიონული ცენტრის ამპლუაში

**ამ დღეებში სპორტკომპლექს „არენაში“ ღია საერთაშორისო ტურნირი გაიმართა კარატეში — „კავკასიის თასი 2013“. ტურნირში მონაწილეობა 7 ქვეყნის — ლიტვის, უკრაინის, საბერძნეთის, ყაზახეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს ნაკრებებმა მიიღეს.**

**შეჯიბრება კაცებში სამ წონით -70 კგ. -80 კგ. +80 კგ, ხოლო ქალებში -60 კგ. და +60 კგ. კატეგორიებში მოეწყო.** „კავკასიის თასი 2013“, რომელიც კონტაქტური კარატეს საშეჯიბრო წესებით ტარდება, აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნას მიეძღვნა.

ასპარეზობას ევროპის კარატეს ორგანიზაციისა და მსაჯთა ასოციაციის წარმომადგენლები, საერთაშორისო ექსპერტები, ფედერაციების პრეზიდენტები, ასევე ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.



ტურნირზე ქართველმა სპორტსმენებმა 1 ოქროს, 2 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, გუნდური ტურნირის გამარჯვებული კი ლიტვის ნაკრები გახდა 3 ოქროსა და 2 ვერცხლის მედლით.

ფორუმის დასრულების შემდეგ ევროპის ფედერაციის წარმომადგენლებმა თბილისის სპორტის სასახლე დაათვალიერეს და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში მინისტრ ლევან ყიფიანს მოადგილე თამაზ თევზაძესთან და სპორტის დეპარტამენტის უფროს ირაკლი დოლაბერიძესთან ერთად შეხვდნენ.

შეხვედრაზე მხარეებმა 2016 წელს თბილისში კარატეს ევროპის ჩემპიონატის ჩატარების პერსპექტივები განიხილეს და ევროპის ჩემპიონატისთვის საქართველოს მასპინძლობას დაუჭირეს მხარი.

**კვარცხლბეკი**

**კაცები**

**70 კგ.** 1. ლაშა ხაჭაპურიძე (საქართველო), 2. ევგენი იურუტი (ლიტვა), 3. სერგო მოვსესიანი (საქართველო), 3. ბერდია გორგაძე (საქართველო).

**80 კგ.** 1. ვიტაუტას ცეპლა (ლიტვა), 2. ლევან ცინცაძე (საქართველო), 3. ჰრაჩ გრიგორიანი (სომხეთი), 3. იასირ მამედოვი (აზერბაიჯანი).

**+80 კგ.** 1. ანდრიუს დრაუგელისი (ლიტვა), 2. სალაჰატ ჰასანოვი (აზერბაიჯანი), 3. ედუარდ ჯანუაშვილი (საქართველო), 3. ერეკლე პირველი (საქართველო).

**ქალები**

**60 კგ.** 1. ინგა მისკაიტე (ლიტვა), 2. სალომე კვალიაშვილი (საქართველო), 3. ნათელა ხორავა (საქართველო).

**+60 კგ.** 1. აელიტა ალექსეევა (ყაზახეთი), 2. დიანა ბალსიტე (ლიტვა), 3. თამარ ბიბილეიშვილი (საქართველო).

**მანუჩარ გიორგაძე**

ლეგიონერი



# ცინცაძის 16 ქულა და „დონეცკის“ რევანში

**გიორგი ცინცაძის „დონეცკმა“ ახალი სეზონის დაწყებამდე ბოლო საკონტროლო მატჩი გამართა და უკრაინული სუპერლიგის მოქმედი ვიცე-ჩემპიონი „აზოვმაში“ 78:69 (21:17, 11:22, 24:15, 22:15) დაამარცხა.**

ცნობისთვის, გასულ სეზონში დონეცკელები მარიუპოლელებთან მეოთხედფინალურ სერიაში დამარცხდნენ, ასე რომ, ამჯერად მცირე რევანშის აღება მოახერხეს, რაშიც ქართველმა მცველმა დიდი წვლილი დაიდო.

ცინცაძე, რომელსაც „დონეცკში“ ფეხის მოკიდება არ გასჭირვებია, სასტარტო ხუთეულში იყო და გუნდს 16 ქულა შესძინა. გიორგიზე უკეთ მხოლოდ ამერიკელი ცენტრი მარკო კილინგსვორტი გაისარჯა, რომლის აქტივშიც ორმაგი დუბლი (16 ქულა, 13 მოხსნა) გახლდათ.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ავტოსპორტი

# ბარიკელო შეიძლება ამ სეზონშივე დაბრუნდეს

**ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, რომელიც გვამცნობდა, რომ რუბენს ბარიკელო მომავალ სეზონში ფორმულა ერთში დაბრუნებას აპირებს. მაგრამ, როგორც ირკვევა, მას შანსი აქვს, ამ სეზონის ბოლო რბოლაშივე გამოვიდეს ტრასაზე. აღნიშნულ ინფორმაციას პოპულარული ბრაზილიელი რეპორტიორი ლივიუ ორიკიო ავრცელებს.**



ორიკიოს თქმით, ამჟამად ბარიკელო მის სატელეფონო ზარებს არ პასუხობს, შეკითხვაზე კი მოკლე პასუხი მოსწერა — „ვინ იცის“...როგორც ჩანს, ბრაზილიელი მრბოლი, ვინც ახლა 41 წლისაა, მოლაპარაკებას აწარმოებს და ამ თემაზე საუბრისგან თავს სწორედ ამის გამო იკავებს.

ორიკიომ ბერნი ეკლსტოუნს მიმართა, ვინც გავრცელებული ინფორმაციით, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ფ1 ბრაზილიელი მრბოლის გარეშე არ დარჩეს. ბერნიმაც ვარაუდზე, რომ ბარიკელომ შეიძლება ბრაზილიის დიდ პრიზზევე იასპარეზოს, მოკლედ უპასუხა — ძალიანაც კარგიო.

**როსტომ რაჭველიშვილი**

ინტერნეტიდან

# ჯენიფერ მასაუ — ბელგიის ნაკრების სახე

**ბოლო პერიოდში ბელგიურ ფეხბურთში დიდი აღმავლობა შეინიშნება. ბელგიელებს საკმაოდ კარგ და საინტერესო ფეხბურთელთა ახალი თაობა ეზრდებათ და საქმე იქითკენ მიდის, რომ ამ ქვეყნის ნაკრებმა ბრაზილიის მსოფლიოს ჩემპიონატზეც უნდა თქვას თავისი სიტყვა.**



ბელგიელები ზოგადად პრაგმატული ხალხია და სამომავლო თადარიგი აქედანვე აქვთ დაჭერილი. მათ წინასწარ შეარჩიეს პოპულარული ბელგიელი ლამაზმანი, რომელიც ამ ქვეყნის ნაკრების ერთგვარი სახე და სავიზიტო ბარათი იქნება ბრაზილიაში.

ეს ბედნიერება წილად ცნობილ ბელგიელ მოდელს ჯენიფერ მასაუს ხვდა, რომელიც ამჟამად პარიზში მოღვაწეობს და იქაური სამოდელო სახლების ვარსკვლავად ითვლება. მშვენიერი ჯენიფერი ფეხბურთის დიდი ქომაგი ნამდვილად არ გახლავთ, მაგრამ თავის საქმეს, ალბათ, ბრაზილიაშიც კოხტად შეასრულებს.

**გიორგი შოთაძე**

**წყლის ნაყვა თუ...**

# ვის აუკრძალავენ ქვეყნიდან გასვლას?

**საქართველოს მოქალაქეებს ქვეყნის დატოვების უფლება შეიძლება შეეზღუდოთ, თუკი ამას სახელმწიფო, ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ინტერესები მოითხოვს. ამას პარლამენტში წარდგენილი ცვლილებების პროექტი ითვალისწინებს და ამ კანონპროექტის ინიციატორები ირინე იმერლიშვილი და ზურაბ აბაშიძე არიან.**

უსაფრთხოების დაცვის კონტექსტში, ამიერიდან „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ" კანონში დაგეგმილი ცვლილებების მიხედვით, საქართველოს მოქალაქეს ქვეყნიდან გასვლაზე, პასპორტის გაცემაზე, პასპორტის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ასევე, საზღვრის გადაკვეთაზე უარი შეიძლება ეთქვათ.

დღემდე მოქმედი კანონი კი ქვეყნის დატოვების უარის თქმის საფუძვლად პირის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნას ან მის მიერ ყალბი და ძალის არმქონე საბუთების წარდგენას ცნობდა.

აღნიშნულმა კანონპროექტმა საზოგადოების შეშფოთება გამოიწვია.

**For.ge ამის შესახებ ექსპერტებს ესაუბრა.**

სამხედრო ექსპერტ **გიორგი თავდგირიძეს** უკვირს, ნუთუ მეტი საქმე არ აქვს ჩვენს პარლამენტს, რომ წყლის ნაყვით არ იყოს დაკავებული?! მით უფრო, რომ ასეთი კანონმდებლობა საბჭოთა კავშირსაც არ ჰქონდა და თვით სტალინის კონსტიტუციაც არ ითვალისწინებდა ასეთ შეზღუდვას. მისთვის გაუგებარია, ადამიანს შეუზღუდო გარანტირებული თავისუფლება. ამასთან, იგი ფიქრობს, რომ ეს ბევრ გაუგებრობას გამოიწვევს, გაზრდის ჩინოვნიკის როლს. საქართველოში კი ბიუროკრატია ცდილობს, მონათმფლობელური წყობა დაამყაროს, მაგრამ რომის და სხვა მონათმფლობელური სახელმწიფოსგან განსხვავებით, ჩვენში ბიუროკრატები, ანუ ჩინოვნიკები გახდებიან მონათმფლობელები, მათ აბსოლუტური უფლება ექნებათ, თავისუფლად ისეირნონ და იმოგზაურონ, ხოლო მოსახლეობა მონად აქციონ.

„რა თქმა უნდა, არსებობს იურიდიული ნორმები, კანონმდებლობა, რომელიც, გარკვეულწილად, ზღუდავს ცალკეულ ადამიანებს, მაგრამ ეს არის მკაფიოდ გაწერილი. არანაირი დამატებითი რეგულაცია ამ საკითხს არ სჭირდება და ასეთი პრობლემა არ დგას ქვეყანაში. ახლა პრობლემაა, რომ ქვეყნის ეკონომიკა განიცდის კრიზისს იმის გამო, რომ პოლიტიკოსები უსაქმურები არიან. შესაბამისად, უსაქმური პოლიტიკოსების საგმირო საქმეების გამო, ქვეყანაში იმდენად დუხჭირი ცხოვრებაა, რომ საქართველოს მოქალაქეებს ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთში წასვლა უწევთ. ამიტომ რაღაც ხელოვნური რეგულაციები სრული იდიოტიზმია", — აცხადებს გიორგი თავდგირიძე.




ექსპერტი ვახტანგ მაისაია ქვეყნის დატოვების უფლების შეზღუდვას აბსურდულად მიიჩნევს. მეტიც, თავის დროზე მან საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა სარჩელი სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე მუხლის შესახებ, რომლითაც საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის რაიმე ტიპის ინფორმაციის გადაცემა სახელმწიფო დანაშაული და ღალატის ტოლფასი გახლდათ. კონსტიტუციურმა სასამართლომ ეს სარჩელი დააკმაყოფილა და ამით ეს საკითხი საბოლოოდ უნდა ამოწურულიყო. თუმცა, ამჯერად, იმერლიშვილ-აბაშიძის ინიციატივა ეწინააღმდეგება ამ პრინციპს.

ვინ განსაზღვრავს, რა არის სახელმწიფო უსაფრთხოება? რატომ არ არის საერთო ეროვნულ დონეზე კონსტიტუციური დოკუმენტი შემუშავებული, რომლითაც განსაზღვრული იქნებოდა, რა არის ეროვნული უსაფრთხოება და საფრთხეების კლასიფიკაცია?! აქედან გამომდინარე, როცა არ არის კონცეპტუალური ბაზა შექმნილი და არ არის დამუშავებული სახელმწიფოს მიდგომა პოლიტიკურ კონტექსტში, ასეთი კანონპროექტის მიღება უცნაურია", — აცხადებს ვახტანგ მაისაია.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე **კახა კოჟორიძე** ამ კანონპროექტის რისკიანობაზე საუბრობს. მისი თქმით, საიას რამდენიმე კონკრეტული საქმე ჰქონდა, როცა მოქალაქეებს საზღვარზე არ უშვებდნენ და სათანადოდ არ უმარტავდნენ ამ შეზღუდვის მიზეზებს. ამდენად, ამ ზოგადი ნორმის დაკანონება ცუდ პრაქტიკას კიდევ უფრო გაამყარებს და ადამიანს მარტივად ეტყვიან — „შენი გაშვება უსაფრთხოებისთვის შეიძლება პრობლემატური აღმოჩნდეს". ამის შემდეგ ადამიანს მხოლოდ ერთი გზა დარჩება, წავიდეს სასამართლოში, იდავოს და ამასობაში მისი თვითმფრინავი ძალიან ბევრი რეისის განხორციელებას მოასწრებს, სანამ სასამართლო პროცესს მოიგებს.

„ეს კანონი იძლევა საშუალებას, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა ცუდად გამოიყენონ ეს ნორმა და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებებით ხელი შეუშალონ ადამიანის თავისუფალ გადაადგილებას. არადა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტით გამყარებულია, რომ ნებისმიერი ამკრძალავი და შემზღუდავი ნორმა უნდა იყოს ნათელი და განჭვრეტადი", — აღნიშნა კახა კოჟორიძემ.

ჟურნალისტ **ირმა ინაშვილისთვის** გაუგებარია, ასეთი სისულელის განხილვა რა საჭირო იყო?! მით უფრო, რომ ამ კანონპროექტის სულისკვეთება ძალიან ახლოსაა კომუნისტურ ეპოქასთან. ეს მაშინ, როცა ნებისმიერ ადამიანს გადაადგილების უფლებას აძლევს საერთაშორისო კანონმდებლობა და არავის აქვს უფლება, ვინმეს საზღვარგარეთ წასვლის უფლება წაართვას.

უნდა წავიდეთ და არა უკან — საბჭოეთში", — გვითხრა ირმა ინაშვილმა.

ჩვენ კანონპროექტის ერთ-ერთ ინიციატორს **ირინე იმერლიშვილსაც** დავუკავშირდით. მან გვითხრა, რომ ამ კანონპროექტში ერთი ერთზეა გადატანილი კონსტიტუციის ნორმა და კანონმდებლობა კონსტიტუციასთან შესაბამისობაშია.

„ეს არის კონსტიტუციის 22-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს, რომ გადაადგილების უფლება ყველა მოქალაქის ფუნდამენტური უფლებაა, თუმცა ამ მუხლის მომდევნო პუნქტი განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს გადაადგილების უფლება, რაზედაც არის კონკრეტული ჩამონათვალი ამის შესახებ. ეს ცვლილებები საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კონსტიტუციის ახალი რედაქციის ამოქმედებას უკავშირდება", — აღნიშნა ირინე იმერლიშვილმა.

მანვე განმარტა, რომ, რადგან ამდენი კითხვა გამოიწვია ამ კანონპროექტმა და კონსტიტუციური ნორმაც ძალიან ზოგადია, ამიტომ იურიდიულ კომიტეტზე ამ კანონპროექტის განხილვისას ის და ზურაბ აბაშიძე, ალბათ, დეტალურად გაწერენ, თუ რა შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს ადამიანისთვის ქვეყნის დატოვების უფლება. ამის შემდეგ ამ კანონის ინტერპრეტირების ან ბოროტად გამოყენების საშუალება არავის ექნება.

**მანანა ნოზაძე**

---

**მეუღლე ჯულიეტა ასათიანი, შვილი აკაკი ფანჩულიძე, რძალი მარინა ჩიკვილაძე, შვილიშვილები ნინო, ზურაბ ფანჩულიძეები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ზურაბ აკაკის ძე ფანჩულიძე**

**პანაშვიდი 1, 2 X, 17 სთ. დაკრძალვა 3 X, 14 სთ. მისამართი: ვაჟა ფშაველას ქუჩა 36. I სადარბაზო, IV სართული.**

---

**ინფორმაცია**

## კიბოსთან ბრძოლის საერთაშორისო თვე

**მსოფლიოში ძუძუს კიბოს პრევენციის კამპანია დაიწყო. ძუძუს კიბოს საწინააღმდეგო და პრევენციის ღონისძიებები საქართველოშიც აღინიშნება.**

**დღეს 13.00 საათზე სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში" ძუძუს კიბოს პრევენციის კამპანიის ოფიციალური გახსნის ცერემონიალი გაიმართება.**

**კამპანია ტარდება ძუძუს კიბოს შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და ადრეული დიაგნოსტიკის სერვისების პოპულარიზაციის მიზნით.**

**ექსპერტთა ინფორმაციით, ძუძუს კიბო წარმოადგენს ყველაზე გავრცელებულ კიბოს და რეპროდუქციული ასაკის ქალთა სიკვდილიანობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს საქართველოში.**

**კამპანიის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიება და აქტივობა ოქტომბრის თვეში, რომელიც გამოცხადებულია ძუძუს კიბოსთან ბრძოლის საერთაშორისო თვედ. კერძოდ, 3 ოქტომბერს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" მედია შეხვედრა მოეწყობა; 5 ოქტომბერს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში სუხიშვილების საქველმოქმედო კონცერტი გაიმართება; 12 ოქტომბერს, რუსთავში მდებარე ქალთა საპატიმროში მსჯავრდებული ქალბატონებისთვის საინფორმაციო-სამედიცინო ღონისძიება მოეწყობა; 13 ოქტომბერს კი, ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე მარათონი „სიცოცხლის გადასარჩენად" გაიმართება.**

---

**კოლეგები**

# ლირიკის ფართო თვალსაწიერი

## საიუბილეო საღამოს „ოქროს" სპონსორი - ირმა გიგანი

**საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა პოეტთა და პროზაიკოსთა გაზეთის „საქართველოს ლირიკის" ათი წლის საიუბილეო საღამო.**

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა მთავარ რედაქტორს ეთერ ფაცურიას და რედაქტორის მოადგილეს ნანა ჭიჟინაძეს ნაყოფიერი ჟურნალისტური მოღვაწეობისათვის ქართული ჟურნალისტიკის ამაგდარის წოდება მიანიჭა და საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის დიპლომი და ფასიანი საჩუქრები გადასცა.

ეთერ ფაცურიამ ისაუბრა გაზეთის დაარსებიდან დღემდე გაწეული მუშაობის შესახებ.

შეკრებილთ მისალმნენ კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი, ხელოვნების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი ავთანდილ დანელია, საქართველოს თავადაზნაურთა საკრებულოს ერთ-ერთი წინამძღოლი ია ბაგრატიონ-მუხრანელი, პოეტი მარინე ცხვედიაშვილი, მსახიობი ნუგზარ შარია, საიუბილეო საღამოს სპონსორი ბექა გონაშვილი, მხატვარი ჯემალ კუხალაშვილი და სხვ.

საიუბილეო საღამო დაამშვენა მხატვარ ქეთი მხეიძის პერსონალურმა გამოფენამ, რომელიც „საქართველოს ლირიკის" იუბილეს მიეძღვნა.

საიუბილეო საღამოს „ოქროს" სპონსორი გახლდათ პიანისტთა საერთაშორისო კონკურსების მრავალგზის ლაურეატი ირმა გიგანი, რომელმაც ჩვეული მომხიბვლელობით შესრულა შოპენის ბრწყინვალე ნაწარმოებები.

**მარიკა პოპიაშვილი**




---

**კრიმინალი**

## ყაჩაღებმა 65 წლის კაცი მოკლეს

**ხობის რაიონის სოფელ თორსაში 65 წლის დათიკო ქარჩავა საკუთარ საცხოვრებელ სახლში მოკლეს. ოჯახის წევრების განცხადებით, ორშაბათს, დაახლოებით 21:30 საათზე მათ სახლში სამი შეიარაღებული ნიღბიანი პირი შეიჭრა. მათ ოჯახის წევრები სკამებზე მიაბეს, რის შემდეგაც შევიდნენ დათიკო ქარჩავას საძინებელ ოთახში.** ქარჩავამ სანადირო თოფი აიღო, თუმცა თავდამსხმელებმა ესროლეს და მხარში დაჭრეს. თავდამსხმელები დაახლოებით საათნახევრის განმავლობაში აწამებდნენ ქარჩავების ოჯახის წევრებს და ერთ მეზობელს, რომელიც შემთხვევით ამ ოჯახში აღმოჩნდა. ყაჩაღებმა სახლიდან წაიღეს 2 500 ლარი და ერთი ცალი ოქროს ბეჭედი.

ოჯახის წევრების განცხადებით, დათიკო ქარჩავა სისხლისგან დაიცალა, რადგან დაჭრილი იყო და ვერ მოხერხდა მისი საავადმყოფოში დროზე გადაყვანა.

მომხდარ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

## ირანელი ნარკორეალიზატორებიდა გვაკლდა

**შსს-მ ნარკორეალიზაციის ფაქტზე ირანის მოქალაქე დააკავა. შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა—გასაღების და საქართველოში უკანონო შემოტანის ფაქტზე ირანის მოქალაქე სეიდინ საბაჰ ე. (SEYED SABAH E.) დააკავეს.**

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული საქართველოში ირანიდან ვალეს სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გავლით შემოვიდა და გასაღების მიზნით შემოიტანა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი".

სამართალდამცველებმა სეიდინ საბაჰ ე. ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტზე იმავე დღეს თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს ნარკოტიკული საშუალება, რომელსაც ის ყიდდა და 2000 აშშ დოლარი, რომელიც მან ნარკოტიკის რეალიზაციის შედეგად მიიღო.

სეიდინ საბაჰ ე-ს დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა ასევე ამოიღეს ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი„.

ექსპერტიზამ დაადგინა, რომ სულ ამოღებულია 23,4708 გრ. ნარკოტიკული საშუალება, რომელიც 9,2187 გრ „ჰეროინს" შეიცავს.

ნარკოლოგიურმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ბრალდებული დაკავებისას ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

## დააკავეს იარაღის უკანონო ტარებისათვის

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მე-3 განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1987 წელს დაბადებული კონსტანტინე ხ. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით თბილისში, წერეთლის გამზირზე დააკავეს.**

შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა მისი პირადი ჩხრეკისას „ა-კა-ეს„-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 28 საბრძოლო ვაზნა და ერთი მჭიდი ამოიღეს. კონსტანტინე ხ. აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.



**ინტერპრესი**

## ჩვენი კარაბადინი

# ინგლისური ნიღაბი



**ეს რეცეპტი საუკუნეებმა შეამოწმა, იგი ხომ ლამის 500 წლისაა, ძველ, საყვარელ ინგლისში მას იყენებდნენ ქალები კანის გასაახალგაზრდავებლად ჯერ კიდევ მარია სტიუარტის დროს.**

ამ ნიღბის ინგრედიენტები — ყველაზე ხელმისაწვდომია, იგი დაძინების წინ უნდა გავიკეთოთ. მისი ღირსებაა ის, რომ იგი უხდება კანის ყველანაირ ტიპს, მეტად მსუბუქად ასუფთავებს და არბილებს კანს, კვებავს, და ანოტივებს მას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას. იძლევიან იმის გარანტიას, რომ დილით სახის შესანიშნავი ფერი გექნებათ.

**ნიღბისთვის ვიღებთ სამ ფინჯანს:**

● პირველს ვავსებთ სანახევროდ ნებისმიერი მცენარეული ზეთით დაქუცმაცებულ შვრიის ფანტელებთან ერთად;

● მეორეს — წვრილ სახეხზე გახეხილი ვაშლით, ნახევარი ლიმნის წვენით და ერთი სუფრის კოვზი თაფლით;

● მესამეს — კეფირით ან შრატით ერთ ჩაის კოვზ წმინდა სუფრის მარილთან ერთად (მარილს ვყრით სულ ბოლოს, რომ მან გალღობა ვერ მოასწროს).

**1 ნაბიჯი:** პირველი ფინჯნის შიგთავსს ვისვამთ სახეზე, კისერზე და დეკოლტეს ზონაზე, რბილად მოვახდინოთ კანის მასაჟი 2-3 წუთის განმავლობაში, კანზე ვიტოვებთ 5 წუთით.

**მე-2 ნაბიჯი:** პირველი ნიღბის ზევიდან ვისვამთ მეორე ფინჯანის შიგთავსს. ვაკეთებთ კანის მასაჟს კიდევ 2-3 წუთით და ვიტოვებთ კიდევ 5 წუთით.

**მე-3 ნაბიჯი:** ვიხსნით ნიღაბს ბამბის დისკით ან ღრუბლით, რომელიც დასველებულია მესამე ფინჯნის შიგთავსით, ვიკეთებთ მასაჟს თითების წვერით კიდევ 2-3 წუთით და ასევე ვიტოვებთ 5 წუთით.

**მე-4 ნაბიჯი:** ვიხსნით ნიღაბს მინერალური წყლით ან აფთიაქის გვირილის ნახარშით. დასასრულ, ვისვამთ კრემს, რომელსაც ვხმარობთ ჩვეულებრივად ღამისთვის.

**ასეთი ნიღბის გაკეთება სასურველია კურსებად კვირაში ორჯერ. სურვილის შემთხვევაში შეიძლება წავისვათ მთელ სხეულზე.**

ЗДОРОВЬЕ

**გამოკითხვა**

**ბავშვს ატანთ სკოლაში საჭმელს?**

**43 პროცეტი — არა, ბავშვი მას სკოლის ბუფეტში ყიდულობს**

**38 პროცენტი — დიახ, ვატან**

**19 პროცენტი — არა, ბავშვი სკოლაში არ ჭამს.**

**სულ გამოკითხვაში მონაწილეობა 480 კაცმა მიიღო.**

## ინფორმაცია

# ქართულ ციხეებში არაადამიანური მოპყრობისა და წამების მოტივებს შეისწავლიან

**ადგილობრივი და საერთაშორისო უფლებადამცველები ციხეებში წამების კადრების გავრცელებიდან ერთი წლის შემდეგ კვლევებს იწყებენ, რომელიც შეისწავლის წამებისა და არაადამიანურად მოპყრობის ფაქტებს.**

**არასამთავრობო ორგანიზაციებმა აღნიშნული პროექტის პრეზენტაცია სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" გახსნეს. პროექტის მიზანია — ქართულ ციხეებში არაადამიანური მოპყრობისა და წამების მოტივების შესწავლა.**

კვლევის პროცესში გამოკითხავენ 1 200 მსჯავრდებულს, რომელთაგან 600 ყოფილი პატიმარია. პროექტის პრეზენტაცია სასჯელაღსრულების მინისტრის სოზარ სუბარის, მისი მოადგილეების, ასევე 10 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების მონაწილეობით გაიხსნა. პრეზენტაციას საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები, მათ შორის Human Rights Watch-ის უფროსი მკვლევარი გიორგი გოგია, ასევე ბარონესა ვივიენ პერნი დაესწრნენ, რომელიც ბრიტანეთის ლორდთა პალატის წევრია. „ციხის კვლევების საერთაშორისო ცენტრი" სამეთვალყურეო საბჭოს წარმოადგენს და „ციხის საერთაშორისო რეფორმის" საპატიო პრეზიდენტია.



პროექტი სამწლიანია და კვლევების შედეგები 2014 წლის პირველ ნახევარში გამოქვეყნდება. პროექტის ინიციატორი, „ფონდი ღია საზოგადოება — საქართველოა". მისი ინფორმაციით, გამოქვეყნებული კვლევები უპასუხებს ძირითად შეკითხვებს: რა ძირითადი ფაქტორები განაპირობებდა წამებას, რა მიზანი ჰქონდა წამების ფოტო-ვიდეო დოკუმენტირებას, წამების რა ფიზიკური და ფსიქოლოგიური მეთოდები იყო ყველაზე ხშირად გამოყენებული, წამება ხდებოდა გარკვეულ ციხეებში თუ ქვეყნის მასშტაბით, ხდებოდა ეს ციხის ადმინისტრაციის გარკვეული ჯგუფის ფარგლებში, თუ ეს იყო ოფიციალური პოლიტიკა.

პროექტის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციები მთავრობას რეკომენდაციითაც მიმართავენ.

**ინტერპრესი**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

*გაზეთები გვატყობინებენ*



### რუსები შეშის შემოტანის უფლებას არ იძლევიან

რუსი სამხედროების მიერ სოფელ დვანის მიმდებარე ტერიტორიაზე ე. წ. საზღვრის სადემარკაციო ნაგებობები ლითონის ბადეების სახით, უკვე ასობით მეტრზეა გავლებული და დასახლებულ პუნქტამდე მცირე მანძილია დარჩენილი. რუსი ე. წ. მესაზღვრეები, ცოტა ხნის წინ დვანელ თემურ კოპაძის სახლს მიადგნენ, შეღობვითი სამუშაოები დაიწყეს და მეპატრონეს რამდენიმე დღის წინ მოჭრილი ვაშლის ნარგავის გამოტანის უფლება არ მისცეს, „ეს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაა და აქედან შეშას ვერ გაიტანთ", — განუცხადა კოპაძეს რუსმა ოფიცერმა.



**„ალია"**

### ქართულ დაბადებისმოწმობიან ბავშვებს ბაღიდან გარიცხავენ

გალში არსებულ ორგანიზაცია-დაწესებულებებში მომუშავე გალელ ქართველებს აფხაზურ პასპორტებს უმოწმებენ. ყალბი პასპორტის აღმოჩენის შემთხვევაში, ჩამოართმევენ და ანულირებას მოახდენენ. რაში მდგომარეობს სიყალბე, ეს ამ დრომდე არ კონკრეტდება, რადგან ჯერ ანულირებული აფხაზური პასპორტი არ არსებობს. გარდა ამისა, დე ფაქტო ხელისუფლებამ შემოწმება გალის საბავშვო ბაღებშიც დაიწყო. ბავშვს, რომელსაც ქართული დაბადების მოწმობა აღმოაჩნდება, ბაღიდან რიცხავენ.

**„რეზონანსი"**

### „ივანიშვილი გეოგრაფიაში ვერ ერკვევა"

— მიაჩნია დეპუტატ შოთა მალაშხიას, — ეს იყო უცოდინარობის მწვერვალი, როდესაც პრემიერმა განაცხადა, რომ ცხინვალის შემოღობვა ხდება იმისთვის, რომ ოლიმპიადას არ შეეშალოს ხელი. მაინტერესებს, ბიძინა ივანიშვილს გეოგრაფიაში რა ნიშანი ჰყავდა, ან თუ მისი გეოგრაფიის მასწავლებელი ცოცხალია, მოგვცეს განმარტება ამ საკითხთან დაკავშირებით. ფაქტია, რომ ამ ხელისუფლებამ არ იცის, რა არის რუსული პოლიტიკა და თუ ჩვენ არ ვიქნებით თანამიმდევრულნი და არ გამოვიყენებთ საერთაშორისო ბერკეტებს... საბჭოთა კავშირის აღდგენის სურვილით შეპყრობილი ადამიანები უფრო მკაცრ კონტროლს გაატარებენ ჩვენს სახელმწიფოში.

**„ახალი თაობა"**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში"*
**299-62-77; 599 32-85-76.**

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

**დაჯექით** დიეტაზე, უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე, არაფერი არ ჭამოთ საღამოს ექვსი საათის შემდეგ და ორ კვირაში დაკარგავთ მხიარული ცხოვრების 14 დღეს.

* * *

— მიხო, რად არა სვამ წამლებს?
— საშინელი დასალევია და იმად.
— შენც წამალი დალიე და იფიქრე, თითქოს ღვინოს სვამ.
— მირჩევნია, ღვინო დავლიო და ვიფიქრო, რომ წამალს ვსვამ.

* * *



— სახლს ვინ გიშენებს?
— თბილისელ მშენებელთა ბრიგადა.
— მე კი შვეიცარიელები.
— თბილისელებს არ წაიყვანდი?
— შვეიცარიაში თბილისელთა წაყვანა ძვირი დამიჯდება.

* * *

— ალბათ, სმას მივატოვებ.
— რატომ?
— შენ ეს ზაფხული გახსოვს?
— რა თქმა უნდა.
— მე კი არა.

* * *

**ცივი** ზამთრისას ძალიან იოლია ჭკვიანი გოგოების ლამაზებისგან განსხვავება. ჭკვიანები ქუდს იხურავენ, ლამაზები კი ვაცრხნილობას უფრთხილდებიან...

**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24